ლელო

№ 38
(11 290)

21 – 24 მაისი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნესტორ ხერგიანი

სიდნეში ქართველ სპორტსმენთაგან ყველაზე მეტს ძუდოისტებისაგან მოველით. პირველ რიგში იმიტომ, რომ სპორტის ამ სახეობაში ალბათ, ყველაზე მეტი – 7 ოლიმპიელი გვეყოლება. ამას ემატება ის მეგობრული, კეთილგანწყობისა და ურთიერთგაგების სასიამოვნო ატმოსფერო, რომელიც ოლიმპიური ნაყრები გუნდის კანდიდატთა, მწვრთნელთა და ძიუდოს ფედერაციის ხელმძღვანელთა შორის სუფევს.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერში რუბრიკით „სიდნეი-2000. ჩვენი კანდიდატები“ ოური იმერლიშვილი ნაყრების ერთ-ერთ წევრს ნესტორ ხერგიანს წარმოგიდგენთ.

იხ. მე-2 გვ.

ხურცილავას 20 რჩეული

გუშინ ცნობილი გახდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა, რომელიც ნორვეგიელებთან მაბრძოლებლად მოემზადება. შურაბ ხურცილავამ 20 შესაძლებელი მოთამაშე სანარჩევო შეკრებაზე:

გიორგი ლომაია – მერანი-91, ზურაბ ბათიაშვილი – დინამო, დავით ხმელიძე – ქიმჩუქინა (რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი – თსუ, თორნიკე რუხაძე – დინამო-2, ოთარ ხიზანიშვილი – დინამო-2, არჩილ სახვაძე – დინამო, ვალერი აბრამიძე – დინამო-2, ჯაბა მუჯირი – ვიტ-ჯორჯია, ედიკ საჯაია – დინამო-2, გივი კვარაცხელია – დინამო, რევაზ ქემოკლიძე – ვიტ-ჯორჯია, ოლეგ გველესიანი – დინამო-2, ლადო ბურდული – დინამო-2, ლევან მელქაძე – დინამო-2, კლიმენტი წიტაიშვილი – დინამო, გიორგი შენგელია – სამგურალი, ლევან შავგულიძე – კოლხეთი-1913, გრიგოლ იმედაძე – ტორპედო, ლაშა ჯაყობაია – სტანდარტი (ბელგია).

UEFA EURO 2000

სფფ-მ ოფიციალურად გამოაქვეყნა საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობა

მეკარეები: დავით გვარამაძე (დინამო, თბ), აკაკი დევაძე (ირონი, აშდოდი, ისრაელი); მცველები: კახი კალაძე (დინამო, კიევი, უკრაინა), გივი დიდავა (დინამო, თბ), ბადრი ახვლედიანი (ტორპედო, ქუთ.), მამუკა წერეთელი (ალანია, რუსეთი), ზურაბ ხიზანიშვილი (დინამო-2, თბ), ვალტერ გუჩუა (დინამო, თბ), ზურაბ ფოფხაძე (კრილია სოვეტოვი, სამარა, რუსეთი); ნახევარმცველები: გიორგი ნემსაძე (რეჯანა, იტალია), დავით ჰიჰვიშვილი (დინამო ბთ.), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), თემურ ქცბაია (ნიუკასლი, ინგლისი), რატი ალექსიძე (დინამო, თბ); თავდამსხმელები: შოთა არველაძე (ისჰში, ჰოლანდია), არჩილ არველაძე (ბრედა, ჰოლანდია), გიორგი დემეტრაძე (ალანია, რუსეთი), მიხეილ ყველაშვილი (გრასჰოპერსი, შვეიცარია), ზაზა ჯანაშია, (ლოკომოტივი, რუსეთი), მიხეილ აშვეთია (დინამო, თბ).



საქართველოს X ეროვნული ფეხბურთის უპირატესობა (II ლიგა)

XXIX ტური

ლოკომოტივი (თბილისი) – სიონი (ბოლნისი) 3-0
ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0
დილა (გორი) – დინამო (თბილისი) 1-2
გორგეთი (ქუთაისი) – გორდა (რუსთავი) 4-0
გუარა (ლანჩხუთი) – ვერანი-91 (თბილისი) 3-7
საბეჭურალი (წყალტუბო) – არსენალი (თბილისი) 2-0
დინამო (ბათუმი) – ოდიში (ზუგდიდი) 3-0
იბერია (საბურთალო) – თსუ (თბილისი) 4-2

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
1. დინამო (თბ)	29	23	5	1	85-17	74
2. გორგეთი	29	20	4	5	71-26	64
3. ლოკომოტივი	29	17	10	10	39-13	61
4. კოლხეთი-1913	29	14	7	8	54-35	49
5. დინამო (ბთ.)	28	11	11	6	44-20	44
6. ვერანი-91	29	11	9	9	34-31	42
7. ვიტ-ჯორჯია	29	13	5	11	41-29	41
8. იბერია	29	11	5	13	44-45	38
9. არსენალი	29	9	11	9	34-43	38
10. დილა	29	10	5	14	37-50	35
11. საბეჭურალი	29	10	3	16	32-51	33
12. გორდა	29	7	10	12	26-44	31
13. სიონი	29	7	7	15	26-50	28
14. თსუ	28	6	9	13	25-38	27
15. ოდიში	29	6	2	21	20-67	20
16. გუარა	29	3	3	23	32-85	12

ვიტ-ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა.

თემა განსჯისთვის

ქართული სპორტის კალვარია – საშემოდგომო გამოცდა!

ეტყობა თავის დროზე ძალიან გაათამამეს კომუნისტებმა და საბჭოთა ხელისუფლებამ ჩვენი მოზარდი სპორტსმენები, როცა ყველაფერს აკეთებდნენ რათა მათი სწავლა და სპორტი კარგად შეთავსებულიყო ერთმანეთთან. მაშინ, საგაზაფხულო სასკოლო გამოცდები, სპორტული შეკრების ან შეჯიბრების ვადებს თუ ემთხვეოდა, განათლების სამინისტრო ნებას რთავდა თავისი სისტემის ადგილობრივ ორგანიზაციებს, ხელი შეეწყოთ მოსწავლე სპორტსმენებისთვის, რაც გამოცდებიდან მათ განთავისუფლებასაც გულისხმობდა.

ჩვენმა განათლების სამინისტრომ, რომელმაც, რაც დამოუკიდებლობის გზას დავადექით, საერთოდ მოიძულა სპორტი და ჯამიდან-ჯამამდე თუ გაახსენდება, რომ ბავშვთა სპორტი ეროვნული სპორტის ფუძეა, ძველი ტრადიციები მავნე გადმონაშთად მიიჩნია და ახლა იქამდეც მივიდა, რომ მოზარდ სპორტსმენებს, კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდებიდანაც აღარ ათავისუფლებს. არც იმის გაგონება სურს, რომ გამოცდები ბავშვებმა შეიძლება ვადამდე, უბრალოდ, საგანგებო გრაფიკით ჩააბარონ, რათა ხელი არ შეუშალოთ სპორტულ დაოსტატებაში. „არა! არ მოხვალთ გამოცდაზე დადგენილ დღეს, გამოგყევებათ საშემოდგომო!“ – აი, ასეთია ჩვენი ეროვნული განათლების სამინისტროს, ეროვნულ სპორტზე ზრუნვის შეუვალი „პრინციპი“.

აფერუმ თქვენს პრინციპულობას! რა თქმა უნდა, სექტემბრიდან სასწავლო წლის ბოლომდე, სკოლებში სწავლა ხელმიშვებული რომ იქნება, განმანათლებლებმა, თუნდაც ბოლოს, ხომ მაინც უნდა დაანახონ ქვეყანას, როგორ „ზრუნავენ“ მომავალი თაობის აღზრდაზე. აი, ამიტომაა, რომ გამოცდების დღეებში დადის ყველა თავწეული იმის იმედით, რომ სიმწიფის ატესტატისკენ მიმავალი თუ უფრო მაღალ კლასში გადასვლის გზა, ბოლოს და ბოლოს თითოეულ მათგანზე გადის. ყველას გვახსოვს, როგორ იმუქრებოდა ხოლმე ზოგიერთი ლექტორი „სად წახვალ, ბოლოს ჩემთან მოხვალ, ყველაფერს გაგიხსენებო“. აი, ასეთი პრინციპით და მეხსიერებით მუშაობს დღეს ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემა. ოღონდ, განსხვავება ისაა, რომ ჩვენი სტუდენტობის დროინდელი ლექტორები გვემუდარებოდნენ ისწავლეთო და ის მუქარა იძულებით, შესაშინებლად თუ წამოსცდებოდათ ხოლმე. ახლანდელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები კი მთელი სასწავლო წელი გალაღებულნი არიან, არც არავის არაფერს ეხვეწებიან – გინდა – ისწავლე, გინდა – არაო. მთავარია სკოლის და, საერთოდ, განათლების სისტემის ავტორიტეტის გადასარჩენად სასწავლო წლის ბოლოს, რაც შეიძლება მრისხანედ გამოაჩინო ბრჭყალები.

„რა სპორტი, რის სპორტი!“ გაიძახის დღეს განათლება და მედიდურად უცხადებს მოსწავლე-სპორტსმენებს: „ან ჩააბარებთ გამოცდებს, ან საშემოდგომო გამოგყვებათ“. მორჩა და გათავდა. წადი და ეძებე სამართალი. თუმცა, სად იპოვი, როცა ქვეყანაში ყველა თავისი ადლით ზომავს... სამართალსაც კი.

მიმომხილველი

დაჯილდოება

საქართველოში კალათბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და სპორტის სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის და დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით ვეტერანი კალათბურთელი ***ვალერი ლომაძე*** დაჯილდოდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

მილოცვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თბილისის „სპორტის სასახლის“ თანამშრომლები დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ წარსულში ცნობილ კალათბურთელს, შპს „სპორტის სასახლის“ დირექტორს ***ვალერი ლომაძეს.***

კალათბურთი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი

რომ მოვითხოვო, უნდა გეკუთვნოდეს...

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ვაჟი კალათბურთელები, ცხადია, უიმედოდ არ წასულან. გულშემატკივრებსაც სჯეროდათ, რომ ბოლოს და ბოლოს ნაკრები იტყოდა თავის სიტყვას. ეს ყველაფერი კარგია, ოპტიმიზმი, როგორც იტყვიან, ღმერთმა ნუ მოგვაშალოს, მაგრამ იმას რატომ არ ვკითხულობთ, რასაც ოპტიმიზმის საფუძველი ჰქვია? არადა, არანაირი ხელშესახები საყრდენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ვითხოვთ და იმას არ ვკითხულობთ, გვეკუთვნის თუ არა, მეც მეკუთვნიო, რომ თქვა, მარტო სურვილი ხომ არ კმარა. ოსტატობა იქნებ ჩვენს ცალკეულ მოთამაშეებს გააჩნიათ კიდეც, მაგრამ ნაკრებს ეს ნაკლებად ემჩნევა. იმას არ ვამბობთ, რომ ომში მიმავალი მეომარი წინასწარ უნდა შეურიგდეს მარცხს, მაგრამ ცოტა მეტი რომ უნდა გაისარჯოს ყველა, პირველ ყოვლისა კი ქვეყანა, ეროვნული ნაკრებისთვის, ამას რა მტკიცება უნდა. ჰოდა, ქვეყნის მამებსაც სჯერავთ, რომ გასეირნებითაც შეიძლება მოიგო ბრძოლა, ხოლო თუ დამარცხდები, მერე რა, ჩვენ ხომ მარცხს შეჩვეული ხალხი ვართ... მოკლედ, სათქმელი ჯერ კიდევ წინაა, თუმცა, წინაა მატჩებიც.

პირველ შეხვედრაში კი ჩვენი ვაჟები ტურნირის მასპინძლებთან, შვეიცარიელებთან „დამორცხვდნენ“ 66:85. ძნელია, როცა პირველსავე ბრძოლას წააგებ, მაგრამ შვეიცარიელებს, ჩვენს საკალათბურთო ტრადიციებს ვერაფრით რომ ვერ უტოლდება, განა მოგება არ სურდათ? იგი ახლა იმკვიდრებს საკალათბურთო ქვეყნის სახელს და შემთხვევითი არც ის არის, რომ შესარჩევ ასპარეზობას მასპინძლობენ.

ჯგუფის სხვა შედეგები: პორტუგალია — ბელგია 59:71; დანია — ირლანდია 50:75.

დასაწყისი იხ. „ლელო“ №36, 37

ქუთათურთა სპორტული მატიანე

რუბრიკას უძღვება ზურაბ ჯავახაძე

ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა



ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ არსებობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო თასის დასკვნითი ნაწილის გათამაშება თბილისში ჩატარდა, ტურნირში მონაწილეობდნენ: მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კიევის, მინსკის და აგრეთვე ზონებში გამარჯვებული ხაბაროვსკის, როსტოვის და ქუთაისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდები. ფინალური ტურნირი ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. მეოთხედფინალში ქუთაისელებმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 2:1 სძლიეს ხაბაროვსკელ თანაკლუბელებს. ორივე გოლის ავტორი ს. ნინუა იყო. 5 ნოემბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ტევა არ იყო. ქუთაისელი ფეხბურთელები მოსკოველ თანაკლუბელებს ხვდებოდნენ, მართალია ქართველმა ფეხბურთელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ ანგარიშით 1:3.

1949 წელს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით ქუთაისის „დინამო“ დაშვებულ იქნა საკავშირო გათამაშებაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის, ცენტრალურ ზონაში წარმატებით აიდეს სტარტი დინამოელებმა. სასტარტო შეხვედრებში მათ დაამარცხეს: ტალინის „კალევის“, კიშინიოვის „დინამოს“ გუნდები თბილისის „სპარტაკთან“ ერთად გათამაშების ცხრილს ჩაუდგნენ სათავეში.

1937 წელი. 28.VIII. ოდესის სტადიონი. ქუთაისის საფეხბურთო გუნდი „მკერავი“ („შვეინიკი“). მარცხნიდან: გიორგი ასათიანი, ალექსანდრე მეფარიშვილი, გივი სვანიძე, გოგი ჟუფარაძე, ნიკოლოზ ლორთქიფანიძე, გრიშა სოფრომაძე, საშა ალიმონაკი, ნოე ხერხაძე, გიორგი ფხაკაძე, სერგო ასათიანი, ვახტანგ ნიჟარაძე, ალეკო მესხი.

საკავშირო ჩემპიონატი თბილისის „სპარტაკის“ ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. მეორე ადგილი წილად ხვდა ქუთაისის დინამოელებს, რაც დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

ამ ბატალიებში ქუთაისის „დინამოს“ სპორტულ დირსებას იცავდნენ: ოთარ ლითანიშვილი, ანტონ ქარჩავა,

იხ. მე-4 გვ.

ფარიკაობა თბილისის თასის გათამაშება

აქვს თუ არა საფარიკაო ბილიკს ანდამატური ძალა?

ეს ის შემთხვევაა, რომელზეც ამბობენ – მხრებიდან წლების ტვირთი ჩამოიბერტყაო, და რაოდენ გაცვეთილიც უნდა მოსჩანდეს ასეთი შეფასება, მას მხარს ვერ აუქცევ, სავსებით რეალობაა და იმიტომ. აბა, სხვა რა შეიძლება ითქვას სპორტსმენებზე, რომლებიც ორი-სამი წლით მიტოვებულ სარბიელს დაუბრუნდნენ და ისე უმძლავრია ამ ნოსტალგიას, რომ ისინი სტატუსის როლში კი არა, ნამდვილ ფავორიტებად მოვლინებულან.

სწორედ ვეტერანთა ასეთი გაახალგაზრდავების მოწმენი გახდნენ ფარიკაობის თბილისელი მოყვარულები, რომლებმაც დედაქალაქის თასის გათამაშებაში სხვადასხვა ნომინაციაში პრიზიორთა შორის კვლავ იხილეს „დავიწყებული“ სახეები. ამ მხრივ სარეკორდო გამოდგა ქალთა რაპირით ასპარეზობა, რომელშიც გადამდგარმა მოფარიკავეებმა ნინო ბეროძემ, რუსუდან აფციაურმა, ეკა ღუნაშვილმა კვარცხლბეკს არავინ გააკარეს. ვაჟთა შორის ასევე სარბიელმიტოვებულმა ოლეგ ჩერნიშოვმა შეახსენა ყველას თავი. ტყუილად არც ხმლით მოფარიკავე ზაზა მჭედლიძე, ალეკო ზახაშვილი და გიორგი თავართქილაძე (ორივე – დაშნა) გარჯილან. არც მათ დაუდეს ტოლი ახალგაზრდა მეტოქეებს. რა თქმა უნდა, ასეთი შემობრუნება მისასალმებელია. დაე, როგორც იტყვიან, იმრავლოს ასეთმა ნოსტალგიამ. ეს ხომ, პირველ ყოვლისა, თვით სპორტს გაუწევს ფასდაუდებელ პროპაგანდას...



ქვარცხლბეკი: *რაპირა. ქალები:* 1. ნინო ბერიძე, 2. რუსუდან აფციაური, 3. ეკა ღუნაშვილი, *ვაჟები:* 1. ოლეგ ჩერნიშოვი, 2. ირაკლი დაღანიძე, 3. კონსტანტინე კიკალიშვილი; *ხმალი:* 1. ზაზა მჭედლიძე, 2. ალექსანდრე ჩიტიშვილი, 3. ავთანდილ სტურუა. *დაშნა. ქალები:* 1. ნათია საკაშვილი, 2. ნინო იმნაძე, 3. მეგი ბარანოვსკაია; *ვაჟები:* 1. ალეკო ზახაშვილი, 2. გიორგი თავართქილაძე, 3. ლაშა სოფრომაძე.

ჯ. უნგიაძე

ტანვარჯიში თბილისის ღია პირველობა

ჭირვით შემოჩვეული „სტერეოტიპი“

ბანალურად თუ არა, სტერეოტიპულად მაინც იბადება ჩვენში ნებისმიერი შეჯიბრების წინ კითხვა – ვინ დააფინანსა? – რას იზამ, დროა ახლა ისეთი, რომ საქალაქო და უფრო დიდი მასშტაბის ასპარეზობას თუ დამფინანსებელი არ გამოუჩნდა, ჩაშლა ელის. ალბათ ასეთი ბედი ელოდა ვაკუუმში მოქცეულ ტანმოვარჯიშეთა საქალაქო პირველობას, რამდენიმე წელი რომ არ გამართულა, მერიის სპორტის სამმართველოს გულთან ახლოს რომ არ მიეტანა მოზარდ სპორტსმენთა დაოსტატების ბედი, გამონახა სათანადო სახსრები და გამართა თბილისის ღია პირველობა, რომელსაც განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა ტანვარჯიშული სკოლა მასპინძლობდა.

ასპარეზობაში 150-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა. დედაქალაქის ორ გუნდთან ერთად გამოდიოდნენ ქუთაისის, გორის, დმიტროვის სახელობის ტანვარჯიშული სკოლის „შევარდენის“ გუნდები. ვიდრე გამარჯვებულებსა და პრიზიორებს გაგაცნობდეთ, უნდა ითქვას, ამ, ჭვეჭნის თუ არა, თბილისის ერთ-ერთი მთავარი ბაზის გასაჭირზე, რომელსაც შესანიშნავი ტანმოვარჯიშეთა თაობების აღზრდის მდიდარი ტრადიცია აქვს. ბაზის დღევანდელი მდგომარეობა სულაც ვერ პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს, ურომლისოდ ზედმეტია ლაპარაკი მაღალი კლასის ტანმოვარჯიშე რომ აღიზარდოს. პირველ ყოვლისა, დარბაზის ტექნიკურ აღჭურვილობაზეა საუბარი. აგრეთვე, მიღებულია, რომ ყოველი ოლიმპიური ციკლის შემდეგ, ე.ი. 4 წელიწადში ერთხელ, ტანვარჯიშულ იარაღებს გადახალისება – შეცვლა უნდა. აქ კი 12 წლით დაძველდა ყველა ინვენტარი. მეტიც, დარბაზში მომეცადინე ტანმოვარჯიშეები უსაფრთხოების ელემენტარული დაცვის საშუალებებსაც მოკლებულნი არიან. ამისათვის საჭიროა პარალონის ლეიბები, რომელიც სკოლას არ აქვს.

და კიდევ! როცა სპორტსმენთა დაოსტატებაზე მიდგება საქმე, ეს, რა თქმა უნდა, შეჯიბრებებში მონაწილეობის გარეშე ვერა და ვერ მიიღწევა. სკოლის აღსაზრდელებს კი ყოველწლიურად 10-12 მიწვევა მოსდით უცხოეთის ქვეყნებიდან სასპარეზოდ, მაგრამ, ისევ და ისევ უსახსრობის გამო, რაც, როგორც ითქვა, ამუხრუჭებს მათ დაოსტატებას.

კვარცხლბეკი. *ოსტატობის პროგრამით.* **ბოგბონები:** 1. ნინო დოდაშვილი, 2. სოფო გაბაძე, 3-4. ირინა მეშეკი, ნაზი ჯანველაძე; *ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით:* 1. ირინა პაჭკოვა, 2. თამარ შალამბერიძე, 3. თამარ მოსიძე; *პირველი თანრიგი:* 1. ქ. სხირტლაძე (ქუთ.), 2. ნინო ფერაძე, 3. ნინო გულბანი. *გუნდური:* 1. თბ. განათლების სამინისტროს სკოლა-I, 2. ქუთაისი, 3. თბ. განათლების სამინისტროს სკოლა-II. **მაბუკები.** *ოსტატობის პროგრამით უფროსი ასაკი:* 1. შალვა დალაქიშვილი, 2. რეზო აბულაძე, 3. ვასილ ლონდარიძე; *უმცროსი ასაკი:* 1. ბესო ბერანთიძე, 2. გიორგი ახვლედიანი, 3. ალეკო ადამიძე, *პირველი თანრიგი. უმცროსი ასაკი:* 1. ზურაბ ნაკაშიძე, 2. ვასო საბანაძე, 3. ზურაბ ანდრიაძე; *უფროსი ასაკი:* 1. ალექსანდრ პაჭკოვი, 2. გიორგი აფციაური, 3. ედგარ ბაბაჯანიანი. **გოგონები:** 1. გვანცა ციბაძე, 2. ქეთი სალარიძე, 3. სოფო ბოდაველი; *მეორე თანრიგი.* **ბოგბონები.** *უფროსი ასაკი:* 1. თეონა ძნელაძე, 2. თამრიკო ჭურაძე (ორივე – ქუთ. მეტი მონაწილე არ ყოფილა). *უმცროსი ასაკი:* 1. მარიამ გვარძალიძე, 2. ჯული ცოცხალაშვილი, 3. თეონა გაბისონია (ქუთ.). **მაბუკები:** 1. ლევან ადამაშვილი, 2. დათო ევგენიძე, 3. დათო ჯორბენაძე.

საგაზაფხულო კროსი

ბორჯომელები იწყებენ...

მართალია, მძლეოსნობის სრული პროგრამით ჩვენში იშვიათად ტარდება შეჯიბრებები, მაგრამ კროსების გამართვის ტრადიცია არ მოშლილა და ხშირადაც იმართება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. საქართველოს მასშტაბით გამართულ ასპარეზობებში კი თითქმის ყოველთვის მონაწილეობენ ბორჯომელი კროსმენები.

გაზაფხული დადგა თუ არა და ამინდი სტაბილური გახდა, ბორჯომის სკოლების ტრადიციული პირველობაც გაიმართა საგაზაფხულო კროსში. ამჯერად კურორტ ქალაქის №1,2,3,4, ახალდაბის, რვალის საშუალო სკოლების და ჭობისხევის არასრული საშუალო სკოლის 300-მდე მოსწავლე გამოვიდა სტარტზე. საინტერესოა, რომ კროსი თითქმის სასკოლო ასაკის ყველა მოსწავლეთათვის ჩატარდა. ამასთან, ცალკეული მონაწილეების მიერ ნაჩვენები შედეგების (1-6 ადგილი) მიხედვით ჯამდებოდა გუნდური შედეგები.

ქვარცხლბეკი: *II-III კლასი-გოგონები:* 1. ნანა ზანაძე (№2 სკოლა), 2. ელენე მარტიროსიანი (№3), 3. ელმირა კირაკოსიანი (№3); *ბიჭები:* 1. გიორგი შერაზადიშვილი (№2), 2. გიორგი ნასყიდაშვილი (№4), 3. ნიკა კვარაცხელია (№3).

IV-V კლასი. გოგონები: 1. ხატია რაზმაძე (№2), 2. მარინა ოგანეზოვა (№3), 3. დიანა ჟადანი (№3); *ბიჭები:* 1. სერგო ცომაია (№3), 2. ვანო მელიქიძე (№4), 3. ზურაბ ჩინჩალაძე (№4).

VI-VII კლასი. გოგონები: 1., ნონა კობერიძე (ახალდაბა), 2. ნანა ხარაზიშვილი (№3), 3. სოფიო რევაზიშვილი (№2); *ბიჭები:* 1. ლევან გაჩეჩილაძე (3), 2. ევგენი ბურიანი (№3), 3. ზვიად გაზდელიანი (№4).

გუნდური: 1. №3 სკოლა (ფიზალზრდის მასწავლებლები ვ. ჟადანი და ლ. იაძე) – 48 ქულა, 2. №2 სკოლა – 27, 3. №4 სკოლა – 21.

«სიდნეი-2000» ● ჩვენი კანდიდატები

ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)
დაიბადა 1975 წლის 20 ივლისს მესტიაში, ზოდიაქო – კირჩხიბი.
სიმაღლე – 163 სმ, წონა – 60 კგ. სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.
მწვრთნელები – ანზორ მარგველანი, შოთა ხაბარელი.
ჭიდაობა დაიწყო 1982 წელს.
საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ქართულ ჭიდაობაში, სამბოსა და ძიუდოში.
1992 წლის ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის სამბოში.
1998 წლის ევროპის ჩემპიონი ძიუდოში.
1998 წლის მოსკოვის, 1999 წლის ავსტრიისა და მიუნხენის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირების II პრიზიორი.
დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია.

ვიდრე ინტერვიუს ბოლომდე ჩავიკითხავდი, ვფიქრობდი, რომ ჩვეულებრივ სპორტსმენზე, მის ჩვეულებრივ პრობლემებზე და ყველასთვის ესოდენ გაშინაურებულ საწუხარზე იქნებოდა დიალოგი რესპონდენტსა და კორესპონდენტს შორის. მაგრამ ჩავამთავრე თუ არა ხელნაწერი, უმალვე გამიჩნდა სურვილი, შთაბეჭდილება, რომელიც ქართველ ფალავანზე დამრჩა, აუცილებლად გამენდო მკითხველისთვის. თანაც ერთგვარ წესსაც ვარღვევ – თავში გამომაჭვს ტექსტი, რასაც ჩვეულებრივ ბოლოში დაურთავენ ხოლმე.

„ლელოს“ წინა ნომერში ფსიქოლოგ გივი დვალთან ინტერვიუ შემოგთავაზეთ პატრიოტიზმის თემაზე. წაიკითხავთ დღევანდელ მასალას ძიუდოისტ ნესტორ ხერგიანზე და დარწმუნებით თუ რა არის ჰეშმარიტი პატრიოტიზმი, რა არის სიყვარულის დანახვა და დაფასება, როგორ არ უნდა იყო საკუთარ სამშობლოში უსაშველოდ პრეტენზიული, ფულის გულისთვის არ უნდა დატოვო შენი ქვეყანა და ზოგიერთივით ეკონომიკურ კეთილდღეობაზე არ უნდა გაცვალო გვარობა და ეროვნება.

რედაქტორი

ახლა კი, ინტერვიუ ნესტორ ხერგიანთან:

● ***ნესტორ, დიდ სპორტში ყველა პირველი ნაბიჯებიდან მოდის – ვინ როგორ აიდგამს ფეხს და ვინ კიდევ როგორ. თქვენი პირველი ნაბიჯები გაიხსენეთ...***

– სკოლაში ფეხბურთის თამაშის დროს შემნიშნა ცნობილმა მწვრთნელმა რობიზონ ჯაფარიძემ. ძალიან მოვეწონე, თავისთან მიმიწვია და ჭიდაობის საიდუმლოებას მაზიარა. მოჭიდავედ ჩემს ჩამოყალიბებაში, ვფიქრობ, გენეტიკურმა მემკვიდრეობამაც იჩინა თავი – წინაპრები განთქმულ მოჭიდავეებად ითვლებოდნენ ზემო სვანეთში. ჩემი დიდი ბაბუა ორმეტრიანი სახელოვანი ფალავანი „ჭყინტლდ“ ხერგიანად უოფილა წოდებული. მის შესახებ საუურადღებო ცნობები გამოაქვეყნა მწერალმა მირიან ხერგიანმა. მამაჩემიც ჭიდაობდა, ხშირად მონაწილეობდა რელიგიურ დღესასწაულებზე გამართულ ქართულ ჭიდაობაში.

● ***ეს ნამდვილად საინტერესოა. თქვენ თუ გიჭიდავიათ რელიგიურ ზეიმებზე, იქნებ, ტრადიცია დაიკარგა.***

– არა, მთა აგრე ადვილად არ თმობს ტრადიციებს, ასეთი შეჯიბრებები კვლავ იმართება და მეც არაერთხელ მიმიღია მონაწილეობა.

● ***თქვენ უკვე იმხელა გზა გაიარეთ სპორტში, რომ აგერ ოლიმპიური თამაშების ლიცენზიისთვის მებრძოლი კანდიდატიც გახდით. ჯერ ეს გვითხარით, გრძნობთ თუ არა გარკვეულ სიმაღეს, რომ საქართველოს სახელი შეიძლება ოლიმპიურ თამაშებში დაიცვათ?***

– რატომ შეიძლება? მე აუცილებლად გამოვალ სიდნეიში. ეს ხომ ჩემი პირველი ოლიმპიადაა და სწორედ ახლა მაქვს უფლაზე დიდი შანსი გამოვიჩინო თავი. ოთხი წლის შემდეგ შეიძლება გვიან იყოს. ძალიან ბედნიერი ვიქნები თუ სიდნეიდან შინ მეძლით დავბრუნდები...

● ***მაგრამ ამისთვის ხომ ძალიან დიდი და შრომატევადი მზადებაა საჭირო...***

– რა თქმა უნდა. ეს მეც კარგად ვიცი, ეროვნულ ნაკრებში ჩემმა თანაგუნდელებმაც და, ცხადია, მწვრთნელებმაც. ჩვენი მზადების ოლიმპიურ ციკლში შედის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილეობა, რაც სამ ეტაპს მოიცავს. ოლიმპიური ციკლის ბოლო, 2000 წელი გადამწყვეტი იქნება ოლიმპიური თამაშების მზადებისათვის. ჯერჯერობით უველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს. პირადად არავითარი პრობლემა არ მაქვს.

● ***რომელ შეჯიბრებაში იგეგმება თამაშების ლიცენზიის მოპოვება?***

– წელიულს, შემოდგომაზე, ოქტომბერში ინგლისის ქ. ბირმინგემში ჩატარდება მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც I – VIII ადგილებზე გასული ძიუდოისტები სიდნეის საგზურს მიიღებენ. ვიმედოვნებ, ინგლისიდან ხელცარიელი არ დავბრუნდები.

● ***ვის თვლით სიდნეიში თქვენს მთავარ კონკურენტად?***

– იაპონელ ნომურას, რომელიც ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია.

● ***თუ გაქვთ მის შესახებ რაიმე ინფორმაცია?***

– შარშან, მოსკოვის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის ფინალში მე და ნომურა შევხვდით ერთმანეთს. მე არც კი ვიცოდი თუ იგი ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი იყო. მწვრთნელებმა არ გამიმხილეს, ასე ჩათვალეს საჭიროდ. ოთხი წუთი თანაბრად ვიჭიდავეთ. ბოლო წუთში გამოცდილებით მაჯობა. იაპონიის ნაკრები სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე ჩვენთან თბილისში იმყოფებოდა, რომლის შემადგენლობაში ნომურაც იყო. მე დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალს მის უველა მოძრაობას, ასე რომ, მის წინააღმდეგ ორთაბრძოლის გეგმა უკვე შემუშავებული მაქვს.

● ***მომზადების გეგმაში შედის თუ არა სამედიცინო კონტროლი და რა კავშირშია იგი მზადების პერიოდებსა და ბანგრძლივობასთან?***

– სამედიცინო კონტროლისადმი უურადღების მოდუნებამ სათანადოდ დამსაჯა. შარშან, როგორც იცით, წარუმატებლად გამოვედი თბილისის საერთაშორისო ტურნირზე გადაღლის გამო. ეს აღარ განმეორდება. ამას წინათ მოსკოვში რუსეთისა და ჩვენი ნაკრების ერთობლივ საწვრნელ ვარჯიშებზე ჩაგვიტარეს კომპლექსური გამოკვლევები. ანალოგიური გამოკვლევები ჩაგვიტარდა თბილისშიც. უურადღებას არ მაკლებს ნაკრების ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი.

● ***ოლიმპიადისთვის მზადების პერიოდში თუ მოხდა რაიმე განსაკუთრებული თქვენს ცხოვრებაში?***

– არ კი ვიცი რომელი გამოვყო. მთავარი ალბათ ისაა, რომ დავქორწინდი თბილისის სამედიცინო კოლეჯის კურსდამთავრებულ გვანცა ლომაშვილზე, შეგვეძინა ვაჟი ირაკლი, გავხდი ევროპის ჩემპიონი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დამასაჩუქრა 8000 ლარით. ამ თანხით შევიძინე ოროთახიანი ბინა ვარკეთილში და ჩემი ოჯახით დავმკვიდრდი თბილისში, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია.

● ***სპორტი და ოჯახი. გრჩებათ თავისუფალი დრო?***

– თავისუფალი დრო მართლაც ძალზე ცოტა მრჩება, მაგრამ რასაც ვიხელთებ, ჩემს ოჯახზე, პატარა ირაკლიზე და მეუღლეზე ზრუნვას ვახმარ. ამას ემატება ჩემი ორი პატარა ძმა, რომლებიც ჩვენთან ცხოვრობენ:

● ***როგორ ფიქრობთ, ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში რა უნდა გაკეთდეს, რომ ხელი არ შეგეშალოთ ჯერ ლიცენზიის, შემდეგ კი ოლიმპიური მედლის მოპოვებაში?***

– პრობლემები უველასათვის ერთნაირია – მთავარია სტიპენდია ხაზინამ დაგვიდგინოს და დროულად მივიღოთ. ეს თანხა დიდად გვეხმარება კვებისა და გზის ხარჯების პრობლემის მოგვარებაში. დანარჩენი კი, პირადად მე რაც შემეხება, ჩემზე იყოს...

ესაუბრა
იური იმერლიშვილი

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II ფრე)

პირველი ჯგუფი XXIX გური

დარჩა ბოლო და უვირეშმაკო...

ერთი ტურიც და ჩვენი საიუბილეო X ეროვნული ჩემპიონატი მიილევა. მეათემ თბილისელი დინამოელები მეათედ გააჩემპიონა – ეგ იყო და ეს, სხვა რამ დიდად ღირსშესანიშნავი ამ სეზონში არ მომხდარა. ვერა და ვერ გამოჩნდა გუნდი, რომელიც მარად ჩემპიონს მძაფრ კონკურენციას გაუწევდა, ვერა და ვერ მოისპო „ჩაწყობილი" თამაშები, ვერა და ვერ გამოჩნდა ახალი, საინტერესო გუნდი, ვერა და ვერ ვიხილეთ პერსპექტიული ფეხბურთელებიც, რომლებსაც ფურორები ხელეწიფებათ...

ქუთაისის „ტორპედომ" მერანელებთან წაფორხილების შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, შინ „გორდას" სძლია და მეორე ადგილიც გაიანდდა. რიონისპირელებმა ის შედეგი აჩვენეს, რასაც მისგან მოელოდნენ და მოითხოვდნენ, უფრო მეტი კი, ანუ უკვე ათგზის ჩემპიონთან გაპაექრება მათთვის არ აღმოჩნდა საკბილო. რიონისპირელებს თასის ფინალი ელოდებათ და წარმატების შემთხვევაშიც მხოლოდ უეფას თასზე გავლენ, ხოლო „კოლხეთს" მეორედ მიეცემა შანსი ინტერტოტოს თასის გათამაშებაში სცადოს ბედი. ყველაფერი ეს 26 მაისს გაირკვევა, ხოლო თუ „სამგურალმა" იმარჯვა, კოლხები ევროტურნირების მიღმა დარჩებიან, რკინიგზელები ინტერტოტოს დასჯერდებიან, უეფას თასზე კი ჩვენებური თასის ფინალისტები იასპარეზებენ. რახან „სამგურალზე" ჩამოვარდა სიტყვა, ბარემ იმასაც დავძენთ, რომ ამ ტურში შინ „არსენალის" ძლევით წყალტუბოელები სახეფათო ზონას განერიდნენ, სადაც „გორდა", „სიონი" და თსუ იბრძვიან, რათა გადათამაშებამ არ მოუწიოთ. შეგახსენებთ, რომ გუნდები, რომლებიც XIV-XV ადგილს დაიკავებენ, ერთმანეთს გაეჯიბრებიან. გამარჯვებული I ჯგუფში დარჩება, დამარცხებულს კი II ჯგუფის მესამე საუკეთესოსთან (რომელიც, აგრეთვე „პლეი ოფის" შედეგად გამოვლინდება) მოუწევს პაექრობა I ჯგუფში ყოფნა-არყოფნისთვის.

ყველაზე უკეთესი შანსი ჯერაც განუწირავი აუტსაიდერებიდან რუსთაველებს გააჩნიათ – ისინი ბოლო ტურში უკვე II ჯგუფის ბინადარ ლანჩხუთელებს უმასპინძლებენ და ფრეც ყოფნით I ჯგუფში დარჩენისთვის. თუ ეს მოხდება, მაშინ „სიონი" – „ტორპედო" და თსუ – „ლოკომოტივი" უმოტივაციო მატჩებად შეიქმნება. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „პლეი ოფში" ერთმანეთს სტუდენტები და ბოლნისელები დაუპირისპირდებიან. „სიონმა" საპლეიოფო ნათლობა შარშან მიიღო, მაგრამ ბოლო გამოცდა წარმატებით ჩააბარა – ხაშურის „იევრიას" I ჯგუფში ადგილი არ დაუთმო.. ვფიქრობთ, თსუ უფრო, რთულ მდგომარეობაშია – სტუდენტთა გუნდი ნაკლებად გამოცდილია და მათ კოლექტივში მდგომარეობაც უფრო რთულია, სხვადასხვა ასპექტებისდა გამო.

ასე რომ, ბოლო ტურში ვირეშმაკობას არავითარი აზრი აღარ აქვს. ვინც დროულად იზრუნა, საწადელსაც მიაღწია, ვინც სპორტულ პრინციპებს უერთგულა, საქმე წინ წააგდო, ვინც დააგვიანა, ისინი გავარდნენ და შესაძლოა I ჯგუფის ერთი ბინადარიც თან წაიყოლიონ. ცხრილის შუაგულში ანუ „სამშვიდობო ზონის" გუნდებს კი მორიგი უმოტივაციო მატჩების გამართვა მოუწევთ. დაე, ასე იყოს, ოღონდ FAIR PIAY და მისი ჯანი!

დათო თავართქილაძე

ტექნიკური შედეგები

დინამო (ბათუმი) – ოდიში (ზუგდიდი) 3-0
იბერია (სამტრედია) – თსუ 4-2

დილა (გორი) – დინამო (თბილისი) 1-2
დილა: სოღოლაშვილი, ფუზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ლომიძე, აკოფიანი (გუდურაშვილი, 84), გაგნიძე, მარეხაშვილი, ლ. გოჩაშვილი, სულთანიშვილი, რ. ახალკაცი, შატაკიშვილი.
დინამო: ბათიაშვილი, ლ. მიქაძე, ხიზანეიშვილი, ვაშაკიძე, პ. ჭინჭარაძე, ა. სახვაძე, ტუღუში, შ. ჩომახიძე (ა. მუჯირი, 65), წიტაიშვილი (გ. მიქაძე, 65), გოგიჩაიშვილი, ქებაძე.
გოლები: ქებაძე (5), სულთანიშვილი (50), გოგიჩაიშვილი (63).
მსაჯი: ა. ორდანიძე (ონი).

გურია (ლანჩხუთი) – მერანი-91 (თბილისი) 3-7
გურია: ნიკურაძე (რ. ჩხაიძე, 46), სულაქველიძე, თ. ჩხაიძე (იმნაიშვილი, 46), მაჩიტაძე, ფირცხლაიშვილი, ჭიაბრიშვილი, გულორდავა, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ღონღაძე, 71), ბოლქვაძე.
მერანი-91: კოროშინაძე, ცქიფურიშვილი, ასპინძელაშვილი, ე. ალადაშვილი, კარიაული (ხარებავა, 46), გელა ქორიძე (შელაძე, 73), ჯიშკარიანი, თოლორდავა (ჭინჭარაული, 46), ბ. ამბიძე, ხუციშვილი, დავითაშვილი.
გოლები: ხუციშვილი (25), ქორიძე (30), ჯიშკარიანი (32), დ. მახარაძე (37 პ, 71 პ), ენუქიძე (39), თოლორდავა (42), ამბიძე (45, 90), დავითაშვილი (69).
გააფრთხილეს: კოროშინაძე (70).
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი).

ლოკომოტივი (თბილისი) – სიონი (ბოლნისი) 3-0
ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი, გოგობერიშვილი, კაციაშვილი, ქოიავა (წივწივაძე, 46), კ. მელქაძე (დ. ბაქრაძე, 46), დ. გოდერძიშვილი, ღუდუშაური (კოტორაშვილი, 67).
სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკაიშვილი, დ. სვანიძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (ფ. არჩვაძე, 77), მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, ისიანი, მოსეშვილი, ტყავაძე.
გოლები: გოგობერიშვილი (64,- პ), ე. ჯაფარიძე (69, ავტოგოლი), სვანიძე (77, ავტოგოლი).
გააფრთხილეს: მელქაძე.
მსაჯი: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

ვიტ-ჯორჯია (თბილისი) – კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0.
ვიტ-ჯორჯია: ჭურაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი, ჭანკოტაძე, ჯ. მუჯირი (ნოზაძე, 55), დოლიძე, მაზიაშვილი (ა. ბოკერია, 65), გ. ქორიძე, ვ. გოჩაშვილი.
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გიორგაძე, ანჯაფარიძე, ტრაპაიძე, შალამბერიძე, ბულუხია, კალანდაძე, შავგულიძე (ე. გვასალია, 58), მ. ქობულაძე.
გააფრთხილეს: გოჩაშვილი, ე. გვასალია, ბულუხია.
მსაჯი: ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

სამგურალი (წყალტუბო) – არსენალი (თბილისი) 2-0
სამგურალი: ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ვოსკანოვი, გ. ჯანელიძე (მ. ჯინჭარაძე, 68), ძაგნიძე, ლ. ქობულაძე, გ. კილასონია, პეტრიაშვილი (გლუნჩაძე, 81), სუხიაშვილი, შენგელია (ქუთათელაძე, 68).
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, გაგუა, გველესიანი, კოხრეიძე, მ. მაისურაძე (ყუფარაძე, 73), ზირაქაშვილი (სულაძე, 57), ამირიძე (თვალაბეიშვილი, 77), კაკაშვილი, ტარიელაშვილი.
გოლები: პეტრიაშვილი (80), კილასონია (90).
გააფრთხილეს: ჩლაიძე.
მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი).

ტორპედო (ქუთაისი) – გორდა (რუსთავი) 4-0
ტორპედო: ჭანტურია, შეყრილაძე, თურმანიძე, მაღლაკელიძე, მაზანაშვილი, ჩხეტიანი (ჩხაბერიძე, 20), კვეტენაძე, იმედაძე, დ. ჯანაშია (კ. ჯანაშია, 58), მეგრელაძე, ვაჩიბერაძე.
გორდა: ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბექაური, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე, (რ. მახარაძე, 46), მელაძე, ჩიგოშვილი, კიტეიშვილი, ლაბაძე, (მ. სახვაძე, 46), ლ. ალადაშვილი.
გოლები: იმედაძე (10), მეგრელაძე (25), იმედაძე (32), იონანიძე (55).
გააფრთხილეს: ლაბაძე, სახვაძე.
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი).

XXIX ტურის სტატისტიკა

● ტურის **„მიღწევად"** შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:
1. ბათუმის „დინამოს" „დიდი" ანგარიშით (9-0) გამარჯვება, რაც ამ ჩემპიონატის რეკორდია.
2. ზუგდიდის „ოდიშისა" და ლანჩხუთის „გურიას" ზედიზედ შესაბამისად მე-10 და მე-12 დამარცხება.
3. ტურში სამმა ფეხბურთელმა საკუთარ კარში გაიტანა ბურთი; ესეც ჩემპიონატის რეკორდია, ერთ ტურში – 3 „ავტოგოლი".
● ტურის **„ფეხბურთელად"** შეიძლება მივიჩნიოთ ბათუმის „დინამოს" ფორვარდი ლ. ხომერიკი, რომელმაც ჩემპიონატში მეორე „პოკერი" შეასრულა. საერთოდ ამ ჩემპიონატში ლ. ხომერიკმა 13 შეხვედრაში გაიტანა 18 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 1,3 ბურთი).
● 8 მატჩში გატანილია 37 ბურთი. ესეც X ჩემპიონატის რეკორდია ტურში გატანილი გოლების მიხედვით. მასპინძლებმა გაიტანეს 26 ბურთი, სტუმრებმა – 11.
● მასპინძლებმა გაიმარჯვეს 5 შეხვედრაში, ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, ხოლო 2 მატჩში გაიმარჯვეს სტუმრებმა.
ტურში დაფიქსირდა 4 დიდი ანგარიშით მოგება: („ტორპედო", „ლოკომოტივი", „დინამო" ბთ. და „მერანი-91"). სულ ჩემპიონატის დაწყებიდან 50 დიდი ანგარიშით მოგებაა.
● ტურში დაინიშნა 4 პენალტი (ორი გაიტანა დ. მახარაძემ, ერთი გოგობერიშვილმა, ხოლო კილასონიას („სამგურალი") დარტყმა კარს აცდა).
სულ ჩემპიონატის დაწყებიდან დანიშნულია 70 „პენალტი" (გატანილია 56).
მასპინძლებმა დაარტყეს 48 „პენალტი", სტუმრებმა – 22. უველაზე მეტი „პენალტი" დაიმსახურეს: „გურიამ" – 9 (გაიტანა 6), „იბერიამ" – 8 (7), „ლოკომოტივმა" – 7 (7), „ტორპედომ" – 6 (5), „სამგურალმა" – 6 (4), „ვიტ-ჯორჯიამ" – 5 (4).
უველაზე მეტი „პენალტი" დაურტყეს: „ოდიშს" – 10 (გაუტანეს 6), „იბერიას" – 8 (6), „მერანს" – 7 (7), „სამგურალს" – 7 (6), „დილას" – 6 (4).
ერთადერთი გუნდი „ლოკომოტივია", რომლის კარშიც „პენალტი" არ დანიშნულა.
● ტურში „დუბლი" შეასრულა 3 ფეხბურთელმა (იმედაძე – „ტორპედო", დ. მახარაძე – „გურია" და ამბიძე – „მერანი").
სულ ჩემპიონატის დაწყებიდან შესრულებულია 68 „დუბლი".
● ტურში „მშრალად" შეინარჩუნეს თავიანთი კარი შემდეგი გუნდების მეკარეებმა: გ. ჭანტურიამ („ტორპედო"), ლ. დოლაბერიძემ („ლოკომოტივი"), მ. გვასალიამ („კოლხეთი-1913"), ს. ჭურაძემ („ვიტ-ჯორჯია"), მ. ასლანიძემ („სამგურალი"), ნ. ტოგონიძემ („დინამო" ბთ).
● ტურში ერთი ფეხბურთელი (კ. გოდერძიშვილი – „სიონი") გააძევეს, ხოლო 8 ფეხბურთელი კი გააფრთხილეს.
● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო" თბ) – 24 ბურთი
დ. მახარაძე („გურია") – 20
ლ. ხომერიკი („დინამო" ბთ) – 18
ზ. იონანიძე („ტორპედო") – 16
დ. ჯანაშია („ტორპედო") – 14
გ. მეგრელაძე („ტორპედო") – 14
ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი") – 13
ე. გვასალია („კოლხეთი-1913") – 13
რ. ალექსიძე („დინამო" თბ) – 12
ზ. ზირაქაშვილი („არსენალი") – 11
გ. შენგელია („სამგურალი") – 11.

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი

II ჯგუფი

ალმოსავლეთი ზონა. I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო-2	23	21	0	2	72-15	63
ცხინვალი	24	20	2	2	68-14	59
ლოკომოტ.-2	23	15	3	5	60-34	48
ქარელი	24	15	3	6	49-22	48
ხაშური	24	13	6	5	56-31	45
ცხუმი	24	11	4	9	44-33	37
განთიადი	24	10	4	10	40-42	34
საუ	24	8	5	11	41-42	29
მესხეთი	24	7	5	12	38-48	26
თორი	24	8	2	14	33-41	26
სკ იბერია	24	7	1	16	46-60	22
დილა-2	24	5	3	16	28-59	18
ვარძია	24	4	4	16	21-67	16
ქინვალი	24	1	2	21	18-106	5

ცხინვალს დაკლებული აქვს 3 ქულა

ალმოსავლეთი ზონა. II ქვეჯგუფი

შსს აკადემია	26	22	2	2	61-9	68
ლარიწყალი	26	21	5	0	79-16	68
ჭარელი	26	16	5	5	44-19	53
ჭაბუკიანი	26	16	4	6	49-23	49
არსენალი-2	26	15	3	8	43-24	48
თელავი	26	13	6	7	48-32	45
ხალიბი-97	26	13	2	11	41-31	41
დინამო-3	26	12	3	11	42-37	39
ზოოვეტი	26	9	7	10	44-44	34
უნივ. იბერია	26	8	4	14	24-31	28
ალგეთი	26	7	1	19	28-61	22
სამგორი	26	5	3	18	31-63	18
მრეტები	27	5	2	20	26-56	17
ალაზანი	26	5	2	19	27-65	17
ჭანდაკო	26	3	3	20	19-95	9

ჭაბუკიანს და ჭანდაკოს დაკლებული აქვს 3-3 ქულა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ-ნ **მერაბ ჯორდანიას**
ასლი გაზეთ „ლელოს" მთავარ რედაქტორს ბ-ნ **თენგიზ გაჩეჩილაძეს**

ოზურგეთის „მერცხალის" ფეხბურთელთა გუნდის წევრის **კახა ტუღუშის**

ახსნა-განმარტებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ მ/წლის 29 მარტს ოზურგეთში სტუმრად ჩამოსულ ხობის „კოლხეთისა" და ჩვენი გუნდის კალენდარულ მატჩს, სჯიდა ავთო სამხარაძე, თანამსაჯები – გოჩა ცირდავა და დავით ნარმანია.

თამაშის ერთ-ერთ მომენტში, თითქოსდა მსაჯის მიერ ჩვენს მიმართ გამოტანილმა არაობიექტურმა გადაწყვეტილებამ, გამოიწვია ჩემი და ემოციებს აყოლილი ჩემი თანაგუნდელების მხრიდან მსაჯების მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

არ შევუდგები ინციდენტის დეტალებში გადმოცემას, რადგან ფართო საზოგადოებრიობისათვის პრესის საშუალებით იგი ცნობილია. ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა სამართლიანი ვერდიქტი (კლუბის მიმართ, ვფიქრობ, ლიბერალურიც) გამოიტანა ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მიმართ.

გულახდილად მინდა მოგახსენოთ, რომ გულწრფელად ვინანიებთ პირადად მე და ჩემი თანაგუნდელები და საზოგადოებრიობის წინაშე ბოდიშს ვიხდით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, მისი მსაჯთა კორპუსის, გულშემატკივრებისა და პირადად ავთო სამხარაძის მიმართ მომხდარი ინციდენტის გამო.

აქვე მოგახსენებთ, რომ ფეხბურთი ჩემთვის და ჩემი თანაგუნდელებისათვის მთელი ცხოვრებაა, რომელზედაც უსაზღვროდ ვართ შეყვარებულები. მიუხედავად გუნდში არსებული ფინანსური კრიზისისა (წლების განმავლობაში ვერ ვიღებთ ხელფასს და ზოგჯერ დახეული ბუცებითაც გვიწევს თამაში), ყოველთვის ვცდილობდით, გაგვეზრებული თამაშით გვესიამოვნებინა გულშემატკივარი, კორექტულები ვყოფილიყავით მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეებისა და მსაჯების მიმართ, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ქართული ფეხბურთის განვითარებაში. ამ მხრივ მე და ბევრ ჩემს თანაგუნდელს, გვყავს სხვადასხვა ასაკის ბავშვთა გუნდები, რომლებსაც ვავარჯიშებთ საზოგადოებრივ საწყისებზე – ყოველგვარი ანგარების გარეშე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი ეს გულწრფელი მონანიება, ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარული და დარჩენილი ახალგაზრდული წლები კვლავ გამატარებინოთ მწვანე მინდორზე და მონაწილეობა მიმაღებინოთ ეროვნულ ჩემპიონატში, რათა მომეცეს საშუალება, მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშეების, მსაჯებისა და გულშემატკივრების მიმართ გამოჩენილი თავაზიანი და გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოვისყიდო ჩადენილი დანაშაული, სამაგალითო გავხდე ჩემი აღსაზრდელებისათვის.

კახა ტუღუში,
ფეხბურთელი. ოზურგეთი.

UEFA ევროპის საკლუბო ჟურნალები

თასების თასი

ფინალი

ლაციო (იტალია) – მალიორკა (ესპანეთი) 2-1
მალიორკა: როა, სოლერი, სივიერო, მარჩელინიო, დანი, იბაგასა, ი. სტანკოვიჩი, ლორენი, ოლაისოლა, ბიაჯინი (პაუნოვიჩი, 73), ენგონგა.
ლაციო: მარკეჯანი, ფაჭალი, სალასი, მანჩინი (კოუტუ, 96), მიხაილოვიჩი, ნესტა, პანკარო, ნედვედი (ლომბარდო, 84), დ. სტანკოვიჩი (კონსეისაო, 56), ალმეიდა, ვიერი.
გოლები: ვიერი (7), დანი (11), ნედვედი (81)
გააფრთხილეს: მიხაილოვიჩი, ვიერი, სივიერო, მარკეჯანი
მსაჯი: გიუნტერ ბენკოე (ავსტრია).

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

როცა ჯანაშია არ თამაშობს...

მოსკოვის „სოვეტსკი სპორტის“ კორესპონდენტი ალექსეი ზინინი თვლის, რომ მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა შედეგიანობა იზრდება, როცა ზაზა ჯანაშია... არ თამაშობს.

„შედეგიანობის გაზრდა დაიმთხვა მათ რიგებში გუნდის უძლიერეს თავდამსხმელ ზაზა ჯანაშიას არყოფნას. მრისხანე თავდამსხმელმა სამი მატჩი გამოტოვა, და ყველა ამ სამ შეხვედრაში „ლოკომ“ სამი და მეტი გოლიც გაიტანა. ამ უცნაურ ფაქტს, როგორც მინიმუმი, ორი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, რკინიგზელების საბრძოლო მზადყოფნა ძალიან კარგია, ამასთან, ისინი არც ისე ძლიერ მეტოქეებს შეხვდნენ. მეორე — თავდასხმაში მოთამაშეები მეტ ინიციატივას იღებდნენ საკუთარ თავზე, და ყველა ბურთს ჯანაშიას მიმართულებით არ გზავნიდნენ, რომლის მოქმედება აპრილში ევროთასების მატჩებთან დაკავშირებით იდეალურისაგან, ცოტა არ იყოს, შორს იყო“.

* * *

კორესპონდენტ ალექსეი ზინინის შეფასება არ „გაიზიარა“ თვით „ბრალდებულმა“, რომელიც ჩვეული აგრესიულობით გამოირჩეოდა დისკვალიფიკაციისშემდგომ მატჩში მოსკოვის „დინამოსთან“. აი რას წერს „სე“ 17 მაისის ნომერში მატჩის ანგარიშში სათაურით: „ფრე არც იარცევს აძლევდა ხელს და არც სიომინს“. სიომინმა შესვენების შემდეგ ორი ტაქტიკური სვლა გააკეთა, რომელმაც საგრძნობლად გააძლიერა გუნდის შეტევითი პოტენციალი. ჯერ ერთი, ლიბერო ჩუგაინოვი წინ წამოწია, მეორეც, შეტევის ავანგარდში გამოჩნდა ჯანაშია, რომელმაც მცველი არიფულინი შეცვალა. დაგვეთანხმებით, ყველა მწვრთნელი არ გარისკავს დაცვის მოთამაშის ფორვარდით შეცვლას, თანაც საყიმო ანგარიშის დროს. მაგრამ რისკმა გაამართლა.

სხვათა შორის, ჯანაშიას სამი მატჩის გაცდენის მიუხედავად, არ დაუკარგავს საუკეთესო თვისებები, რომელთაგან უმთავრესი — საოცარი მიზანსწრაფვაა მეტოქის კარისკენ. და თუ ბულიკინს მთელი მატჩის განმავლობაში არ შეუშფოთებია მეკარე პლოტნიკოვი, წვერმოშვებულმა ჯანაშიამ 45 წუთში დინამოელთა კარში ექვსჯერ ძლიერად დაარტყა, რომელთაგან სამი ძალიან სახიფათო იყო. ჭართველი ფორვარდი მუდმივად ბურთთან ჩნდებოდა, რაც ახალგაზრდა მეწყვილეს იშვიათად გამოსდიოდა შეტევებში.

გერმანელებმა – შიგ გულში!

ათი თვეც და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძელი ქვეყნის ვინაობაც გაირკვევა ფიფას აღმასკომზე. მე-18 მონდეალის მასპინძლობისთვის პრეტენზია პირველად გერმანელებმა გამოთქვეს. მათ საამისოდ ჯერჯერობით ყველაზე მძლავრი კამპანიაც წამოიწყეს. არიელებმა უკვე ყველა საჭირო დოკუმენტაცია წარადგინეს ფიფაში, მათ შორის ყველა ქალაქი – კანდიდატი. გამოუშვეს სპეციალური ბუკლეტი SEE YOI IN THE HEART OF EUROPE – ჩაიხედეთ ევროპის გულში. საზოგადოებრიობას მიმართავენ ქვეყნის პრეზიდენტი რომან ჰერცოგი, კანცლერი გერჰარდ შრიოდერი, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი და ფრანც ბეკენბაუერი.

გერმანიის მოქალაქეები მოუთმენლად ელიან სტუმრებს მთელი მსოფლიოდან 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. ვიმედოვნებ, რომ ფიფას პასუხისმგებელი მუშაკები გამოამეღავნებენ რწმენას ჩვენს მიმართ“ – დასძენს კანცლერი გერჰარდ შრიოდერი. ასევე გერმანელები მთელი ფრონტით გადადიან შეტევაზე, გერმანულ ფეხბურთს მთავარ დასაყრდენად საფეხბურთო ტრადიციები და მთავრობა გაუხდია.

... კიდევ ის, რომ არიელები ევროპის გულში ბინადრობენ.

სამონდიალოდ გამზადებული ლოგოთი პოზირება არც ეროვნული გუნდის თავკაც ერიხ რიბეკსა და ფრანც ბეკენბაუერს უთაკილიათ (2006)

გერმანიის ეროვნული გუნდის ფეხბურთელები (მარცხნიდან) ანდრეას მიოლერი, ლარს რიქნი, ლოთარ მათეუსი და იენს ჟერემისი ნორჩებთან ერთად წარმოადგენენ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გერმანულ ლოგოს.

ლიზარაზუ ვერ ითამაშებს ფინალში

26 მაისს ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში მიუნხენის „ბაიერნის“ გულშემატკივრებს ბიკსანტ ლიზარაზუს მონაწილეობის იმედი ვერ ექნებათ. მართალია, საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მან ვარჯიში განაახლა, მაგრამ კვლავ იგრძნო ტკივილები მარცხენა მუხლში. ეს ტრავმა მან უკრაინის ნაკრებთან შეხვედრაში მიიღო.

— შესაძლოა, ლიზარაზუ სწვრთნელ ვარჯიშს ასე ადრე არ უნდა შედგომოდა, — განაცხადა მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა. ამავე დროს მას ეჭიმების იმედი აქვს, რომლებიც გარკვეული პერიოდის შემდეგ მაინც შეძლებენ ფრანგი ოსტატის განკურნებას.

სკაჩენკო – „ტორპედოდან“ „მეცხრეში“

მოსკოვის „ტორპედოსა“ და უკრაინის ნაკრების ფეხბურთელმა სკაჩენკომ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. იგი მომავალი სეზონიდან საფრანგეთის „მეცხრეში“ ითამაშებს.

ამ თანხამ „რეალიც კი ჩააფიქრა

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა ამ დღეებში განაცხადა, რომ ძალიან უნდა შეიძინოს ლონდონის „არსენალში“ მოთამაშე ცნობილი ფრანგი ოსტატი ნიკოლა ანელკა.

ლონდონურმა კლუბმა მყისვე უპასუხა: დიახ, ბატონო, შეიძინეთ „სულ რაღაც“ 35 მილიონი დოლარი ეღირება. „რეალს“ დიალოგი არ განუახლებია...

თასი პირველად მოიპოვა

დანიის თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „ოლბორგი“ (ეროვნული ჩემპიონატის ლიდერი) და „აკადემისკ ბოლკლუბი“ (შემოკლებით ბკ, მიდის მეორე ადგილზე). მატჩი დამთავრდა კოპენჰაგენის ბკ-ს გამარჯვებით — 2-1. მან დანიის თასი პირველად მოიპოვა.

ვისაც მეტი მოეთხოვება

ინგლისურ კლუბ „მიდლსბროს“ გულშემატკივრების გამოკითხვის შემდეგ გამოირკვა, რომ ისინი ძალზე უკმაყოფილონი არიან პოლ გასკოინის თამაშით. „გაზამ“ მიიღო ხმების 35 პროცენტი ნომინაციით „ჯეზონის ყველაზე უფრო მარცხიანი მოთამაშე“.

აი, რა განაცხადა ამის შესახებ გამოკითხვის ორგანიზატორმა:

— არა მგონია, რომ ვინმეს გასკოინის მიმართ ანტიპატია ჰქონდეს და მისი არასაფეხბურთო პრობლემები არ ესმოდეს. მაგრამ, როცა კვირაში 30 ათას დოლარს იღებ, შენგან მაინც ცოტა უფრო გულღია თამაშს მოითხოვენ. დეე, მთელმა მსოფლიომ იმსჯელოს, უნდა ითამაშოს თუ არა გაზამ ინგლისის ნაკრებში. ჩვენ უფრო ის ვიცით, რომ მას „მიდლსბროშიც“ კი არ შეუძლია გვარიანად თამაში.

ახლა გასკოინი, როგორც ეს ადრეც მომხდარა, ალკოჰოლიზმისა და სტრესისაგან განკურნების მორიგ ციკლს გადის.

ქუთაისის ფეხბურთი 90 წლისაა

(I-ლი გვერდიდან)

ძუკუ სულავა, რეზო მესხი, კ. ვაშაკიძე, გოგი ფხაკაძე, ა. დოლაბერიძე, გივი იობიძე, ნოე ხერხაძე, მიშა გეგაძე, აჩიკო ბერძენიშვილი, გივი ჯავახაძე, კიკა ხინთიბიძე, სერგო ნინუა, სერგო ბაზაძე და გივი კოზიანიძე, მწვრთნელი ვახტანგ რამიშვილი.

1955 წლის რესპუბლიკურ ჩემპიონატზე კვლავ წარმატებით იასპარეზეს ქუთაისის დინამოელებმა და კვლავ მოიპოვეს რესპუბლიკის ჩემპიონის საპატიო წოდება. ამ გამარჯვების ავტორები იყვნენ ა. ქარჩავა, მ. ნადარეიშვილი, ზ. მარგველაშვილი, ბ. ბობოხიძე, ს. ბაზაძე, ვ. ივანოვი, ჯ. რუსაძე, დ. ჯეჯელავა, რ. მესხი, ვ. ერქომაიშვილი, ვ. კვასაძე, ვ. კეჭაყმაძე, გ. ჯავახაძე, გ. ფირცხალავა, ზ. წვერავა, გ. გვილავა (გუნდის მწვრთნელი უ. სალდაძე).

1957 წლის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ჩვენს ქვეყანაში ფეხბურთის მასობრიობისა და განვითარების მიზნით ერთიორად გაიზარდა „დიდი ფეხბურთის“ გეოგრაფია, განსაკუთრებით ეს ზრდა დაეტყო „ბ“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს. სულ მეორე ეშალონის 4 ზონა შეიქმნა. ბაქოს, ერევნის, ტაშკენტის, გორკის და სხვა დიდი სამრეწველო ქალაქების გვერდით ჩვენი რესპუბლიკის სპორტული დირსება უნდა დაეცვა ქუთაისელ ფეხბურთელებს. ამ მიზნით 1957 წლის დასაწყისში ქუთაისში ჩამოყალიბდა ფეხბურთელთა გუნდი „ლოკომოტივის“ სახელწოდებით. გუნდის უფროს მწვრთნელად დაინიშნა ფეხბურთის დიდი ენთუზიასტი, ამ საქმის შესანიშნავი სპეციალისტი ანდრო ჟორდანია. გუნდის ძირითად ბირთვს ქუთაისელი ფეხბურთელები: ა. ქარჩავა, ვ. კვასაძე, ბ. ბობოხიძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯეჯელავა, გ. პატარაია და სხვები შეადგენდნენ. მათ გვერდში ამოუდგნენ მოწვეული მზარდი პერსპექტიული ფეხბურთელები: ა. კვაჭაძე, გაიხარაშვილი, თ. პეტრიაშვილი, კახნიაშვილი, გ. სორდია, გ. გომელაური, გ. ლეჟავა, იოსელიანი და სხვები.

წარმატებით აიღეს სტარტი ქუთაისელმა ფეხბურთელებმა. ხუთი ტურის შემდეგ „ლოკომოტივი“ რვა ქულით პრიზიორთა სამეულში იყო. საბოლოოდ ქუთაისელებმა მე-6 ადგილი დაიკავეს, რაც ურიგო შედეგი არ იყო დებიუტანტისათვის.

1959 წლის 3 მაისს გუნდს „ტორპედო“ ეწოდა.

1960 წელს ტორპედოელებმა საკავშირო გათამაშებაში მოკავშირე რესპუბლიკების მეორე ზონის გუნდებს შორის წარმატებით იასპარეზეს და საპატიო პირველი ადგილი დაიკავეს.

1960 წელს „ა“ კლასის საგზური არ გათამაშებულა, მაგრამ ქუთაისელ ფეხბურთელებს რ. ურუშაძეს, გ. მერაბიშვილს, მ. ანთიძეს, ი. ლოსაბერიძეს, თ. პეტრიაშვილს, გ. ცხოვრებოვს, ნ. სარჯველაძეს, ა. ინჯიას, გ. ნიშნიანიძეს, გ. ხორდიას, გ. ლეჟავას, ჯ. ხაჟალიას, გ. გომელაურს, ა. ზარდინიას და გ. პაპელაშვილს მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის საპატიო წოდება. გუნდის მწვრთნელები იყვნენ უ. სალდაძე და ს. ერქომაიშვილი, მაღალი შეფასება მისცა ტორპედოელთა ასპარეზობას გაზეთმა „ფუტბოლმა“ გაზეთი აღნიშნავდა: „ტორპედოს“ წარმატება შედეგია დიდი მუშაობისა, რაც მან გასწია მწვრთნელების უ. სალდაძის და ს. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით. ქუთაისის „ტორპედო“ ახალგაზრდული მეგობრული კოლექტივია, რომელიც დიდი პასუხისმგებლობით ემზადება ყოველი მატჩისათვის და შესაშური აზარტით თამაშობს.

ქუთაისის საფეხბურთო კლუბი „დინამო“. 1946 წ. მარცხნიდან: გივი ჯავახაძე, სტეფანე ერქომაიშვილი, ზურაბ მარგველაშვილი, ილია ჯავახაძე, ტიხონ გერაძე, დავით შეგელაძე (დანგალა), კიკა ხინთიბიძე, დავით ძიძიგური, გიორგი ფხაკაძე, ვახტანგ ნიჟარაძე.

უკანასკნელ პერიოდში გუნდის თამაშის კლასი შესამჩნევად გაიზარდა. კოლექტივის საუკეთესო მოთამაშეებად ითვლებიან ხაჟალია, პაპელაშვილი, ანთიძე და სხვა. დიდი მანევრირება ტორპედოელებს საშუალებას აძლევს შეტევაში ჩაებას 6 და ზოგჯერ მეტი მოთამაშე. ყოველივე ამის გამო ტორპედომ დიდი პოპულარობა ჰპოვა თავის თანამემამულეებში. გუნდის ყველა თამაში ფეხბურთის ადგილობრივ მოყვარულთა ნამდვილ ზეიმს წარმოადგენს“.

იმავე წლის აგვისტოს მეორე ნახევარში ქუთაისის ტორპედოელები საერთაშორისო შეხვედრების ჩასატარებლად ავღანეთში გაემგზავრნენ. ტორპედოელებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს ავღანეთის გუნდები „არიანი“ – 6-4, „მოარევი“ – 6-2 და „ჰოხანტუმი“ – 6-1. ადგილობრივმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქუთაისელ ფეხბურთელთა ოსტატობას.

1961 წელს სპორტულ სეზონში ქუთაისის ტორპედოელებმა გაიმეორეს 1960 წლის წარმატებები, ისინი კვლავ გამარჯვებულნი გამოვიდნენ საკავშირო გათამაშებაში „ბ“ კლასის მეორე ზონის გუნდებს შორის და მოიპოვეს უფლება ებრძოლათ „ა“ კლასის საგზურისათვის.

როგორც წინა წელს II ზონაში გამარჯვებული გამოვიდა თბილისის „ლოკომოტივი“.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით მოკავშირე რესპუბლიკების ზონებში გამარჯვებული ქუთაისის „ტორპედო“ და თბილისის „ლოკომოტივი“, აგრეთვე საბჭოთა კავშირის „ა“ კლასის 1969 წლის ჩემპიონატში ბოლო ადგილზე გასული ტალინის „კალევი“ გაითამაშებდნენ ფინალურ ტურნირს, სადაც გამარჯვებულ გუნდს ეძლეოდა უფლება მომავალი, 1962 წლიდან გამოსულიყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ოქტომბრის მეორე ნახევარში კიშინიოვში დაიწყო „სამთა ტურნირი“, „ა“ კლასის ერთადერთი საგზურისათვის.

პირველმა მატჩმა ქუთათურებს სანუგეშო ვერაფერი ახარა, მსაჯის ი. პონომარიოვის ორი დანიშნული 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა წარმატებით გამოიყენა „კალევის“ გუნდმა და დაამარცხეს ტორპედოელები ანგარიშით 2:0. თითქოს ქუთაისელ ფეხბურთელებს დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, მათ გადალახეს ფსიქოლოგიური ბარიერი და გუნდს მეორე სუნთქვა გაეხსნა, ორჯერ დაამარცხა თბილისის „ლოკომოტივი“, ხოლო გადამწყვეტ მატჩში კალევთან შესახვედრად გუნდი საგანგებოდ მოემზადა. ქუთაისიდან სწრაფად მიავლინეს კიშინიოვში გადამწყვეტ მატჩში საასპარეზოდ ნიჭიერი ფეხბურთელი თ. ჭოლოკავა, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე აწრდილვით თან დასდევდა ესტონეთის გუნდის საუკეთესო თავდამსხმელს კ. კოლოსს. შეიძლება დამაჯერებლად ითქვას, რომ ჭოლოკავამ სრულიად გამოთიშა თამაშიდან სახიფათო ფორვარდი და ღირსეული წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში. ტორპედოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1-0. კიშინიოვის ბატალიებში თავი ისახელეს რ. ურუშაძემ, გ. მერაბიშვილმა, გ. ცხოვრებოვმა, ი. ლოსაბერიძემ, გ. ნიშნიანიძემ, თ. კუბლაშვილმა, ნ. სარჯველაძემ, თ. პეტრიაშვილმა, გ. სორდიამ, გ. ლეჟავამ, ჯ. ხაჟალიამ, გ. გომელაურმა, ზ. მაჭარაშვილმა, რ. სირაძემ, თ. ჭოლოკავამ, ა. ავალიანმა, ა. მარგველაშვილმა. ბუნებრივია, გუნდის ესოდენ დიდი წარმატება და „ა“ კლასის საგზურის მოპოვება გუნდის მწვრთნელების უ. სალდაძის და ს. ერქომაიშვილის კოლოსალური შრომის და გარჯის ნაყოფი იყო. დიდი იყო ქუთაისელთა სიხარული, მთელი რესპუბლიკა ზეიმობდა ქართული ფეხბურთის სასახელო გამარჯვებას. ქუთაისი დიდი ფეხბურთის ქალაქად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლერი იგონებს, უკრჩევს, მოპავალზე ლაპარაკობს

გთავაზობთ ჟურნალ „შპიგელში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ცნობილ გერმანელ ფეხბურთელ იურგენ კოლერთან.

● ჰერ კოლერ, აშშ-ში გერმანიის ნაკრების შედეგებით საყოველთაო აღშფოთების გამო ის აზრიც გამოიკვეთა, რომ გუნდს უნდა დაუბრუნდეთ. გსიამოვნებთ ეს თუ არა?

– რა თქმა უნდა, და ამასთან ერთად ერთგვარ სიამაყესაც ვგრძნობ იმასთან დაკავშირებით, რომ შენი თამაშის ნახვა სურთ.

● და ამის მიუხედავად ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო მატჩებში ჩრდილო ირლანდიისა და ფინეთის ნაკრებებთან მაინც არ მიიწვიეს ფეხბურთელი, პერსონალური თამაშის ყველაზე კარგი ოსტატი. რატომ არ დაბრუნდით?

– ეს თვითონ გადავწყვიტე. ნაკრებში 105 მატჩი მაქვს ჩატარებული და გამოქრა იქ კვლავ თამაშის სურვილი. გარდა ამისა, ვფიქრობ, ჩემს ადგილზე ღირსეული პრეტენდენტები არიან.

● რომლებიც უკანასკნელ მატჩებში ნაკრებში არასტაბილურად თამაშობდნენ...

– დიახ, ასე იყო, კი მესმის, რომ ვერც მარკუს ბაბელმა, ვერც მარკო რებერმა ან კრისტიან ვერნსმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს სრულად დაღვინებას. სწორედ ამიტომ უნდა გამოუცხადონ მათ მეტი ნდობა, გაგებით მოეკიდონ მათ შეცდომებს. სწორედ ამ შემთხვევაში გაიზრდებიან როგორც პიროვნებები და პროფესიონალები, აღარ შეიშინდებათ დამსახურებული ვეტერანის დაბრუნებისა. ვინც გემბანზე ძალიან დიდხანს რჩება, აუცილებლად ხელს შეუშლის ნაკრების ამა თუ იმ მოთამაშის წინსვლას. არ მინდა ასეთ ხელშემშლელად ვიქცე.

● დიახ, მაგრამ ასე სრულიადაც არ ფიქრობს 38 წლის ლოთარ მათეუსი. განა იგი არ აბრკოლებს ლიბერო იენს ნოვოტნის ზრდას?

– ამ მხრივ ლოთარი არავითარ საყვედურს არ იმსახურებს. ნაკრების მწვრთნელი ერიხ რიბეკი ხომ სრულიად გასაგებად აცხადებს, რომ ლიბერო აუცილებლად მათეუსი უნდა იყოს. რა თქმა უნდა, ამის შედეგი შეიძლება იყოს იენს იერემისისა ან ნოვოტნის ოსტატობის ზრდის რამდენადმე დამუხრუჭება.

● რიბეკი აპირებს შესაძლებლობის შემთხვევაში ნოვოტნი გამოიყენოს შუა ხაზზე ანდა წინა ცენტრალური მცველის პოსტზე. განა იქ არ ექნება ნოვოტნის სათანადო წინსვლის შესაძლებლობა?

– ნოვოტნი, ჩემის აზრით, არც დაცვითი ტიპის ნახევარმცველია და არც პერსონალურად მოთამაშე. იგი თანამედროვე სტილის ლიბეროა.

● თქვენმა კონცეფციამ გერმანული ფეხბურთის განვითარების შესახებ შეიძლება ისეთი შედეგები მოიტანოს, რომ საერთოდ ევროპის ამჟამინდელი პირველობის ფინალის მიღმა დავრჩეთ. ხანგრძლივი მუშაობა, ახალი ტალანტების აღზრდის თვალსაზრისით, არ შედის გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის კონცეფციაში.

– ჩვენი საზოგადოებრიობა წარმატებაზეა ორიენტირებული, მასში მოცდის და ტალანტების მოთმინებით აღზრდის იდეა პოპულარული ვერ იქნება. მაგრამ ჩვენ, როგორც ერს, რატომ არ შეგვიძლია შევეგუოთ იმას, რომ ერთი რომელიმე დიდი ტურნირი უჩვენოდ ჩატარდეს? გერმანელებმა ნაკრებს ყოველთვის მაღალი მოთხოვნები არ უნდა წავუყენოთ, უნდა მივცეთ საშუალება ახალგაზრდა ფეხბურთელებს დაწინაურდნენ, საჭირო მომართულებით მოიპოვონ წარმატება. თუკი გვინდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს კვლავ გვყავდეს ნაკრები, რომელიც ეფექტურ, თვალწარმტაც ფეხბურთს ითამაშებს, მაშინ მოთმინებაც უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ, როგორც საფეხბურთო ერი, ძალზე გადატვირთული ვართ. ფრანგებმა კი მსოფლიოს 1990 და 1994 წლების ჩემპიონატები გამოტოვეს და შემდეგ უკვე მათთვის უჩვეულო წარმატებებს მიაღწიეს.

● გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი თვლის, რომ ასეთი მიდგომა ჩვენს ქვეყანაში პოპულარული ვერ იქნება.

– პრეზიდენტი და ნაკრები ძლიერ ზეწოლას განიცდიან. ამასთან, ასეთ გადაჭარბებულ მოთხოვნებს ისინი თვით უყენებენ საკუთარ თავს. ჩვენ კი ფეხბურთელთა კავშირში ისეთი ადამიანები გვჭირდება, რომლებიც ყოველგვარ ზეწოლას გაუძლებენ.

● რიბეკმა გერმანიის ფეხბურთელთა კავშირისაგან მიიღო დავალება ნაკრები ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანოს. ეს მეტისმეტად ხანმოკლე დროის ამოცანაა, მართალია, არა?

– ამაზე ხანმოკლე დროის ამოცანა რაღა უნდა იყოს. ნებისმიერ მწვრთნელს აუცილებლად სჭირდება ორი წლიდან სამამდე, რათა ნაკრებს თავისი თამაში ათამაშოს.

● დიახ, მაგრამ ვინ შეძლებს ხანგრძლივი დროით დასახული ამოცანის გადაწყვეტას?

– ამას ყველაზე კარგად კრისტოფ დაუმი გააკეთებს. ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ. მაგრამ მას ნაკრებთან მუშაობისთვის 3-4 წელი უნდა მიუსცენ. დაუმს, ოტმარ ჰიტცფელდის მსგავსად, შეუძლია ეგრეთწოდებულ ვარსკვლავებთან მუშაობა.

● როგორც გახსოვთ, იყო დრო, როცა ფეხბურთელებს უხაროდათ ნაკრებში გამოძახება, რახან ისინი რამდენიმე დღით მაინც თავს აღწევდნენ კლუბის ყოველდღიურობას. ახლა ყველაფერი პირიქითაა: ამას წინათ, ოლივერ კანმა უკმაყოფილება გამოთქვა ნაკრებში გამოძახების გამო. მას შტეფან ეფენბერგიც შეუერთდა, რომელმაც არ მოისურვა გერმანიის ნაკრებში თამაში. რა გამოდის? ფეხბურთელები აღარ ოცნებობენ ნაკრებში გამოსვლაზე?

– ადრე კარგ კონტრაქტებს მხოლოდ ნაკრების მოთამაშეებთან დებდნენ. ახლა ტელევიზია პრაქტიკულად ყველა თამაშს აჩვენებს, საზოგადოებრიობის ყურადღებას ნებისმიერი ფეხბურთელი მიიპყრობს. საბაზრო ღირებულების ზრდისთვის ფეხბურთელს თუნდაც ერთი სუპერთამაში ყოფნის, ვთქვათ, მადრიდის „რეალთან“.

● ესე იგი, ახლა მოთამაშეებისთვის ჩემპიონთა ლიგა უფრო მნიშვნელოვანი ხომ არ გახდა, ვიდრე მსოფლიო ან ევროპის ჩემპიონატი?

– დიახ, ახლა აქცენტი, ცოტა არ იყოს, შეიცვალა. ადრე შენ ნაკრები გჭირდებოდა, თუკი გინდოდა, რომ მხოლოდ შენი სოფლისათვის კი არ ყოფილიყავი ცნობილი, არამედ, კიდევ, სხვებისთვისაც.

● თქვენმა მიუნხენელმა კოლეგამ თომას ჰელმერმა აშკარად შეატყო ახალგაზრდა ფეხბურთელებს სრული გულცივობა, გამოიძახებენ თუ არა მათ ნაკრებში. თქვენ კი, პირიქით, ყოველთვის ხაზს უსვამდით, რომ ნაკრებს თქვენი გული ეკუთვნოდა.

– ჩემს პრაქტიკაში ასე მოხდა: ნაკრებში 18 წლის მოვხვდი. 18-წლიანთა ნაკრებში, რა თქმა უნდა. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო. შემდეგ 21-წლიანთა ნაკრებში მიმიწვიეს. ფულზე საერთოდ არ მიფიქრია. თვით ასეთ გუნდში მონაწილეობა უდიდეს სიხარულს მანიჭებდა. შემდეგ კი მოვიაზრე, უბრალოდ, ვალდებულიც კი ვიყავი, ჩემი თავისთვის სულ უფრო მაღალი მოთხოვნები წამეყენებინა.

● ობოლმა, ლამსბაიმელმა კოლერმა, რომლის დედას მინდვრად უნდა ემუშავა, ოთხი შვილის გამოსაკვებად, მოულოდნელად გაუჩნდა საშუალება დაწინაურებულიყო, სოციალური აღმავლობა ჰქონოდა?

– მივხვდი: ფეხბურთი ჩემს ცხოვრებაში თავის გამოჩენის ერთადერთი საშუალება იყო. როცა პატარობისას მეუბნებოდნენ, რა მსურს მივიღო დაბადების დღეს, ფეხბურთის ბურთს ვასახელებდი. ახლა ასეთ კითხვაზე ბავშვი კომპიუტერს ასახელებს.

● თქვენი ყოფილი კოლეგა ერვინ ქანრებში შტეფან კუნცი სინანულს გამოთქვამს, რომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა არ აპირებს ფეხბურთის მთლიანად მიუძღვნას თავი, ნამდვილი პროფესიონალი გახდეს. ეთანხმებით თუ არა კუნცს?

– რატომ თამაშობს ჩვენს ჭაბუკთა გუნდებში ამდენი უცხოელი ბავშვი? იმიტომ, რომ მათ არაფერი აქვთ, სპორტის გარდა. ამიტომაც ისინი მთელი სულითა და გულით, მთელი გრძნობით თამაშობენ ფეხბურთს. ამავე დროს, ახალგაზრდა პროფესიონალებს ახლა უფრო უჭირთ, ვიდრე, ვთქვათ, ადრე, როცა მე ვთამაშობდი. ჩემი პირველი მატჩი ეროვნულ ნაკრებში 20 წლისამ ჩავატარე. ამას არავითარი ხმაური არ მოჰყოლია. მაშინ ჟურნალისტები გარს ეხვეოდნენ მათეუსს, შუმახერს, ფიოლერს, ალოფსს. კოლერი მაშინ პატარა ნახევარფაბრიკატი იყო, რომელიც დიდი ვარსკვლავების ჩრდილში მშვიდად იზრდებოდა.

იურგენ კოლერი

● თქვენი დორტმუნდელი კოლეგა ლარს რიკენი გაორებულ მდგომარეობაშია. ახალგაზრდული პრესა მას პირდაპირ აღმრთებს, თვით კი ფიქრობს, რომ პარტნიორები ჯეროვნად არ აფასებენ. რას ურჩევდით მას?

– ის, რასაც ახლა რიკენი განიცდის, მისთვის მეტად მნიშვნელოვანი გახლავთ. საქმე ის არის, რომ ლარსი მისთვის სრულიად შეუფერებელ ადგილზე თამაშობს. როცა თამაშს ვიწყებდი, ზუსტად ასეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. მაშინ ჩვენს ახალგაზრდულ ნაკრებში (21 წლამდე) სტოპერად არმინ კრააცი თამაშობდა. ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში, ლისაბონში პორტუგალიელებთან უნდა გვეთამაშა. ბერტი ფოგთსმა მკითხა: „შეძლებ მარჯვენა მცველად თამაშს?“ „დიახ, რა თქმა უნდა!“ მშვენივრად ვითამაშე, კრააცს კი შეცდომები მოუვიდა და წავაგეთ 1-2. საპასუხო მატჩი პორტუგალიელებთან კარლსრუეში უნდა გვეთამაშა. ფოგთსმა კვლავ მომმართა: „შეძლებ სტოპერად თამაშს?“ „მე რომ წინა ცენტრალურ მცველად ვითამაშო, ისინი ბურთს საერთოდ ვერ გაგვიტანენ“. მართლაც, მოვიგეთ ანგარიშით 2-0. იმ დროიდან მოყოლებული სტოპერად ვთამაშობ.

● შეგეძლოთ თამაშში მთლიანად კონცენტრირებული ყოფილიყავით. ამავე დროს „კაიზერსლაუტერნის“ ახალგაზრდა ტალანტებს მიხაელ ბალაკსა და მარკო რაიხს მიუნხენის „ბაიერნის“ მიერ შეთავაზებული მილიონების გამო თავის ტკივილი აუტყდათ.

– ისინი 21 და 22 წლისანი არიან. მხოლოდ ფულზე კი არ უნდა იფიქრონ, არამედ უფრო იმაზე, როგორ გამომაქლავნონ უკეთესად თავიანთი შესაძლებლობები. ეს არ მოხდება ყველაზე ძლიერ კლუბებში, სადაც თითოეულ ადგილზე უმძაფრესი კონკურენციაა. იქ ახალგაზრდებს მათი ტალანტის მიუხედავად სათადარიგოთა სკამზე დიდი დროის გატარება უხდებათ. ამით ისინი ასეთი ასაკისათვის აუცილებელ სათამაშო პრაქტიკას კარგავენ. მე რომ ბალაკის ან რაიხის ადგილას ვიყო, მომავალ 2-3 სეზონს ისევ „კაიზერსლაუტერნში“ გავატარებდი. იქ მათი სრულყოფისათვის აუცილებელი კეთილგანწყობილი ვითარებაა. მაშინ, როცა შენს ძალებს გადააფასებ და მარცხს განიცდი, შეიძლება ამან ძალზე ცუდად იმოქმედოს.

● როგორ ახსნიდით ამ ამბავს?

– მეც მჭონდა „წყნარი ფაზები“, უპირველეს ყოვლისა, როცა 1989-91 წლებში მიუნხენის „ბაიერნში“ ვთამაშობდი. მაშინ საუკეთესო კლუბის წევრი ვიყავი, ძალიან კარგად მიხდიდნენ. ასეთ სიტუაციაში გარკვეული თვითკმაყოფილება გეუფლება. ახლა რომ ახალგაზრდა ვიყო, ასეთი გამოცდილებით, კვლავ „ბაიერნში“ აღმოვჩნდე, ეჭვგარეშეა, ერთ-ერთი უძლიერესი ვიქნებოდი.

● როგორ ახერხებდით მოტივაციის კრიზისების დაძლევას?

– საბედნიეროდ, ყოველთვის საუკეთესო მწვრთნელებთან მქონდა საქმე. ესენი იყვნენ კლაუს შლაპნერი, დაუმი, იუპ ჰაინკესი. მათ ჩემი სრული იმედი ჰქონდათ. შემდეგ იყო ჯოვანი ტრაპატონი ტურინის „იუვენტუსში“. ვცდილობდი მათი ნდობის გამართლებას, უპირველეს ყოვლისა, კარგი თამაშით.

● შეუძლიათ თუ არა ძალიან კარგ მწვრთნელებს საშუალო შესაძლებლობის ფეხბურთელები კარგ პროფესიონალებად აქციონ?

– მანჰაიმის „ვალდჰოფში“ შლაპნერი ჩემთვის მხოლოდ მწვრთნელი კი არა, მამასავით იყო. მას ყოველთვის აინტერესებდა, ვთქვათ, როგორ ვხარჯავდი ფულს. მაშინ თვეში 1200 მარკას ვიღებდი, აქედან ნაწილი უნდა შემენახა. შლაპნერი კონტროლს უწევდა ჩემს საბანკო ხარჯებსაც.

● ასეთ ზედამხედველობას თავიანთი აგენტებისაგან ნამდვილად არ დაუშვებდნენ დღევანდელი, მაღალი შემოსავლის მქონე პროფესიონალები.

– ოჰ, ეს აგენტები! რას არ აკეთებენ დღეისათვის ისინი? ზოგჯერ ხელშეკრულება ერთბაშად 10-20 ფეხბურთელთან აქვთ. ჩემის აზრით, აგენტს შეუძლია სარეზულად იმუშაოს მხოლოდ ორ ფეხბურთელთან. იმიტომ, რომ აგენტობა მთელ მსოფლიოში ხმაურის ატეხვას კი არ ნიშნავს, რომ მისმა ფეხბურთელმა მეტად ხელსაყრელი კონტრაქტი დადოს. იგი უნდა ცდილობდეს მოთამაშე სერიოზულ სამყაროში შეიყვანოს, სადაც ფეხბურთი ღრმად ესმით.

● ფეხბურთელის კარიერას რომ დაასრულებთ, შეიძლება მწვრთნელი გახდეთ?

– მწვრთნელი? მხოლოდ ახალგაზრდული გუნდისა. პროფესიონალების წვრთნა მეტად დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული. ყურადღებით შეხედეთ, როგორ გამოიყურებიან მათი მწვრთნელები, სახეები ორმაგი ნაოჭებით აქვთ დაფარული.

მოამზადა გივი ბამრეკელმა

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

ორი ურთულესი ამოცანა – ახალ მწვრთნელს

ბრემენის „ვერდერის“ მწვრთნელად დაინიშნა 38 წლის თომას შააფი, რომელიც 17 წლის განმავლობაში (1978-95) თამაშობდა ამ კლუბის შემადგენლობაში. ახლა „ვერდერის“ მესვეურები მისტირიან იმ დროს, როცა კლუბს სახელოვანი ოტო რეჰაგელი წვრთნიდა (1981-95 წლებში). იმ პერიოდში „ვერდერი“ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, 1992 წელს კი თასების მფლობელთა თასს დაეუფლა.

ახლა შააფს ორი ურთულესი ამოცანის გადაწყვეტა მოელის: უნდა იზრუნოს ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე, და, რაც მეტად ძნელია, 12 ივნისს გერმანიის თასის ფინალში წარმატებით ითამაშოს ამჟამად ქვეყნის (და, საერთოდ ევროპის) ერთ-ერთი წამყვანი კლუბის, მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ.

„ვიცოდი, ბიშოვეცი საქმეს გააფუჭებდა“

— მართალია, რომანცევი, როგორც ადამიანი, ძალზე ახლოა თქვენთან და ამიტომაც ცდილობდით, რომ იგი რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გამხდარიყო? ჰკითხა კორესპონდენტმა რუსეთის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვს.

— დიახ, ასეც იყო. როცა მწვრთნელის ადრინდელი არჩევნების წინ ბიშოვეცი გამოჩნდა, რომანცევმა მაშინვე მოხსნა თავისი კანდიდატურა. გავუგე კიდევაც მას. მთავრობა, რატომღაც, მაინცდამაინც ბიშოვეცის დანიშვნას მოითხოვდა. მისდამი მთელი ჩემი პატივისცემის მიუხედავად, თავიდანვე ვიცოდი, რომ საქმეს გააფუჭებდა, იმ მოთამაშეებს მოიწვევდა ნაკრებში, რომლებსაც ადრე კარგად იცნობდა. ორჯერ სპეციალურად მივედი თეთრ სახლში, მაგრამ ვინ მოგისმინა!

— იოლი იყო რომანცევის დათანხმება იმ იმედგაცრუების შემდეგ, რომელიც მან განიცადა ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის შემდეგ?

— ძალიან ძნელი იყო. მაგრამ ფეხბურთში 20-წლიანი მუშაობის გამოცდილება ხომ რაღაცას ნიშნავს. ბოლოს და ბოლოს, გამოვიჯანე მისი ამბიციურობა და სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ რომანცევი სწორედ ის ადამიანია, რომელიც რუსეთის ნაკრებს წარმატებას მოუტანს, ახალ დონეზე აიყვანს. საერთოდ კი, ჩვენ ახლა კარგი ნაკრები გვყავს.

თასი – პენალტებით

ოთხშაბათს ვენაში გაიმართა ფინალური შეხვედრა ავსტრიის თასზე ჩემპიონატის ლიდერ „შტურმსა“ (გრაცი) და ლასკ-ს (ლინცი) შორის.

როგორც ძირითად, ისე დამატებით დროში ანგარიში არ გახსნილა. პენალტების სერია უკეთ შეასრულა „შტურმმა“ და დაეუფლა კიდეც თასს.

ალექს ფერგიუსონი – საუკეთესო მწვრთნელი

შოტლანდიელმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედში“ დიდ წარმატებებს მიაღწია. ამ დღეებში მეხუთედ მოუპოვა ინგლისის ჩემპიონის წოდება, ახლა კი ინგლისის თასის ფინალისა და ჩემპიონთა თასის ფინალის მოლოდინშია.

ალექს ფერგიუსონი სპორტულმა ჟურნალისტებმა გამოკითხვის შედეგად ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

დანი ბლინდი გაასცილეს

ჰოლანდიის პირველობის ბოლო ტურში ფეხბურთიდან გააცილეს გამოჩენილი ოსტატი, ნაკრების ყოფილი მოთამაშე და ამსტერდამის „აიაქსის“ კაპიტანი, ცენტრალური მცველი დანი ბლინდი. ცნობილი გახდა ისიც, რომ „აიაქსის“ ფინელი ვარსკვლავი ლიტმანენი ახალი სეზონიდან „ბარსელონაში“ გადავა.

კასპაროვი – ანანდი: მძგოვარეობა გუნდოვანია

საჭადრაკო სამყაროში ფრიად ბუნდოვანი მდგომარეობაა იმის გამო, რომ გარი კასპაროვს 1995 წლიდან მოყოლებული, არ უთამაშია მატჩი მსოფლიო პირველობაზე. შესაძლოა, ეს ნაკლებად აღელვებს ფიდესა და მის პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვს – ისინი ხომ

კასპაროვი

კასპაროვს მსოფლიო ჩემპიონად არა თვლიან. მაგრამ რა ვუყოთ იმ ამბავს, რომ მოსკოველ მოჭადრაკეს მსოფლიო რეიტინგ ლისტში მტკიცედ უკავია პირველი ადგილი და არავის აეჭვებს, რომ იგი (უკვე რამდენი წელია!) მსოფლიოში უძლიერესი დიდოსტატია.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ კასპაროვი, როგორც ეს უკვე საუკუნეზე მეტია მიღებულია, ხომ ვალდებულია ორ (ან სამ) წელიწადში ერთხელ ითამაშოს დიდი მატჩი. ერთის დროც გავიდა და მეორისაც. რა იქნება შემდეგ?

რა თქმა უნდა, ეს საკითხი კასპაროვსაც დიდად აღელვებს. ამის გამო იყო, რომ შარშანდელი ლინარესის სუპერტურნირის შემდეგ იგი შეეცადა მოლაპარაკება დაეწყო ამ შეჯიბრების პირველ პრიზიორ ვიშვანათან ანანდთან. ანანდმა ჩათვალა, რომ დრო მის სასარგებლოდ მოქმედებდა და... მატჩისაგან თავი შეიკავა! უცნაურია, ღმერთმანი, ჩემპიონი იწვევდეს პრეტენდენტს (და არა პირიქით!) და ცივ უარს იღებდეს. მაშინ მოეწყო მატჩი მსოფლიოში მესამე რეიტინგის (და დიდი ავტორიტეტის!) მჭონე ვლადიმირ კრამნიკსა და ალექსეი შიროვს შორის, რომელშიც გამარჯვებული უკვე კასპაროვს უნდა შეხვედროდა. უმეტესობა კრამნიკის გამარჯვებას ელოდა, მაგრამ სრულიად დამაჯერებლად მოიგო შიროვმა. ამან უფრო გაართულა სიტუაცია. შესაძლებელია კასპაროვ-ანანდის მატჩისათვის სპონსორი კიდეც გამოჩენილიყო, მაგრამ კასპაროვ-შიროვის ორთაბრძოლის დამფინანსებელი ვერსად იპოვეს. უფრო ზუსტად, იყო ერთი ესპანელი მეცნატი, მაგრამ იმდენად მცირე თანხა გაიღო, რომ კასპაროვმა კი არა, შიროვმაც კი თამაში არ ისურვა.

1999 წლის დამდეგისათვის ასახელებდნენ კასპაროვთან შეხვედრის ორ რეალურ პრეტენდენტს: იმავე ანანდსა და კრამნიკს. თუ კასპაროვმა ვეიკ-ანზეესა და ლინარესში პირველი ადგილები დაიკავა, მეორე ორივეგან ინდოელს დარჩა. და სწორედ ამ დროს ბელგიელმა ბიზნესმენმა და ჭადრაკის დიდმა ტრფიალმა ბესელ კოკმა გამოაცხადა მსოფლიო პირველობის მატჩისათვის სამ მილიონ დოლარიანი ფონდის შექმნის შესახებ. აქ თითქოს თავისთავად იგულისხმებოდა – კასპაროვს ანანდი უნდა შეხვედროდა.

ანანდი

მოეწყო კიდევაც თათბირი გარი კასპაროვის, ვიშე ანანდის, ბესელ კოკის, ფრიდრიკ ოლაფსონის, უილიამ ვირტის, სერუ გრიმოს (ეს ორი უკანასკნელი ცნობილი ბიზნესმენია) მონაწილეობით. ამ მოლაპარაკების მიხედვით მხარეები უკვე 23 აპრილისათვის საბოლოოდ უნდა შეთანხმებულიყვნენ მატჩის პირობების შესახებ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თუ კასპაროვი თანახმაა მატჩზე, რომელიც თითქოს სექტემბერში შეიძლებოდა დაწყებულიყო, ანანდი სულ სხვანაირად ფიქრობს. მას უნდა მხოლოდ დეკემბერში ითამაშოს, მანამდე კი მონაწილეობას მიიღებს ჯერ ლეონის (ესპანეთი), მაინის ფრანკფურტისა და დორტმუნდის შეჯიბრებებში, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში ლას-ვეგასში ნოკაუტ-სისტემით და ბოლოს დადგება კასპაროვთან შეხვედრის დრო.

კასპაროვი კი აცხადებს, რომ იგი ასე გაუთავებლად ვერ მოუცდის ანანდს.

გივი გამრეკელი

აპლანტა – ნიუ-ორკი 92:100 (0–1)
იუტა – პორტლენდი 93:83 (1–0)

„ნიუ-ორკის“ ნახევარფინალში გასვლა, რომ სენსაციად მიაჩნდათ, ახლა თანდათან იკვეთება კანონზომიერება. ალან ჰიუსტონის წყალობით ეს გუნდი, მართლა უდრეკად მიიწევს წინ (ჰიუსტონმა ატლანტელებთან ამ მატჩში, 17 წუთის განმავლობაში 34 ქულა დაიმსახურა).

რაც შეეხება „იუტას“, პლეი-ოფის პირველი წრიდან, როგორც იტყვიან, ძლივს გაძვრა, მაშინ, როცა ეს შედარებით ადვილად მოახერხა „პორტლენდმა“. აქაც ლიდერმა მელოუნმა „იუტას“ ყველაზე მეტი ქულა შესძინა – 25 (12-ჯერ ფარიდან მოხსნა).

სურათზე: კარლ მელოუნი (თეთრ მაისურში).

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

21 მაისი, პარასკევი. საქართველოს ტელევიზია. I არხი. ასპარეზი (22.20), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (12.30, 19.30), ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13,20), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.15, 21.00), ბრაზილიის ჩემპიონატი (23.15). „მსოფლიოს ფეხბურთის ფარისკაცები“ (0.55). ***ESPN.*** კალათბურთი, ნბა (3.30, 4.00, 22.00), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.30, 16.00, 22.00, 2.00).

22 მაისი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. სახელოვანი ქართული ფეხბურთელის მანუჩარ მაჩაიძის საიუბილეო ამხანაგური მატჩი ქართველი და უცხოელი ფეხბურთელების მონაწილეობით – რეპორტაჟი თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონიდან (18.00) – შესვენებისას „მანუჩარ მაჩაიძე-50“, ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25), ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35). ***საქართველოს ხმა.*** მსოფლიო სტადიონებზე (12.30, 19.30), ფეხბურთი: გერმანიის ჩემპიონატი (22.55), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55), ***НТВ плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (15.50), ბრაზილიის ჩემპიონატი (16.00), ინგლისის ჩემპიონატი (19.55), გერმანიის ჩემპიონატი (20.55), ლათინური ამერიკის ქვეყნების ჩემპიონატების მიმოხილვა (23.30), ესპანეთის ჩემპიონატი (23.55). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. სარაევოს სუპერტურნირი (14.45), ბრძოლა წესების გარეშე (0.00), ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (2.30, 7.00, 22.00). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (15.30, 16.00, 17.00, 22.00).

23 მაისი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2. სპორტული პროგრამა (20.30), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55), ***საქართველოს ხმა.*** ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი (19.30), გერმანიის ჩემპიონატი (21.25), იტალიის ჩემპიონატი (23.25), ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები (15.00), გერმანიის ჩემპიონატი (15.55, 21.25), იტალიის ჩემპიონატი (19.25, 23.25), ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (14.45), 17,35), ჰოკეი. სტენლის თასი, ნახევარფინალი. პირდაპირი რეპორტაჟი (0.00). ***ESPN.*** ინგლისის პრემიერლიგის მიმოხილვა (22.00), კალათბურთი. ნბა (23.00, 23.30, 2.00), ***EUROSPORT.*** მოტორბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი (12.30, 13.00, 14.00), ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი (20.00), რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი (23.30), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (2.15).

სანქტ-პეტერბურგი – მოსკოვი 22:18

გაიმართა მატჩი მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის ვეტერან მოჭადრაკეთა ნაკრებებს შორის. თითოეულ გუნდში 20-20 მოჭადრაკე გამოდიოდა. პირველ დაფაზე დიდოსტატების მარკ ტაიმანოვისა (სანქტ-პეტერბურგი) და იგორ ზაიცევის ორივე შეხვედრა ყაიმით დასრულდა. იგივე შედეგი მოიტანა დიდოსტატ ალექსეი სუეტინისა (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატ ვლადიმირ კარასიოვის, დიდოსტატ იური ავერბახისა (მოსკოვი) და საერთაშორისო ოსტატ ვიაჩესლავ ოსნოსის პარტიებმა.

საერთოდ კი უპირატესობას მიაღწიეს სანქტ-პეტერბურგელმა მოჭადრაკეებმა და მოიგეს მატჩი ანგარიშით 22:18.

? **კატივცემულო რედაქცია!**

მიმდინარე წლის დასაწყისში გაზეთებში გამოქვეყნდა საფეხბურთო ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები, კონტინენტების მიხედვით საუკუნის რჩეული ფეხბურთელების დასადგენად. თუ შეიძლება ამ გამოკითხვის სრული სურათის გაცნობა. სახელდობრ, მასში თუ მოხვდა ჯოფილი საბჭოეთის ფეხბურთელები, რასაკვირველია, ჩვენთვის ძალიან საინტერესოა მათ შორის თუ იყვნენ ქართველები.

ნოშრევან ქვარაცხელია, თბილისი

პასუხი: **გარდა იმისა, რა მონაცემებსაც თქვენ ადრე უკვე გაცნობიხართ (ჩვენს გაზეთშიც გამოქვეყნდა), რედაქციაში სხვა არანაირი ინფორმაცია არ გაგვაჩნია. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ათეულში ქართველებიდან არავინაა შესული.**

ჭროსვორდი

თარაზულად: 1. წარსულში ცნობილი ქართველი ძიუდოისტი, 3. არგენტინელი ნახევარმცველი, მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონი, 4. ორადგილიანი ველოსიპედი, 6. ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი, 12. გამოჩენილი კამერუნელი ფეხბურთელი, 15. კონტინენტი, 18-20. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 20. თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი 1954-67 წლებში (ფოტო), 22. „ლივერპულის“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი, 25. მადრიდის „რეალის“ და ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელი, 30. მსაჯი, 32. „ვალენსიას“ ფრანგი ფეხბურთელი, 33. ესპანეთის ნაკრების ჯოფილი მეკარე, ევროპის 1964 წლის ჩემპიონი, 35. თბილისის „დინამოს“ მეკარე 1965-71 წლებში.
შვეულად: 1. 1958 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 2. ჭადრაკის ფიგურა, 3. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში, 5. „ფრაიბურგის“ ქართველი ლეგიონერი, 7-20. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ვაჟთა შორის, 12. ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი (ფოტო), 13. ნიგერიელი თავდამსხმელი, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონი, 15. „ფერენცვაროშისა“ და უნგრეთის ნაკრების ჯოფილი თავდამსხმელი, 16. „უდინეზეს“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 20. რუსი მოჭიდავე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 23. ჩეხი ჩოგბურთელი ქალი, 26. ამერიკელი მორბენალი ქალი, 1960 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი, 30. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 31. „ვალენსიას“ რუმინელი თავდამსხმელი.



დიაგონალურად: 3-9. საქართველოს საფეხბურთო კლუბი, 13-6. „მილანის“ არგენტინელი მცველი, 8-15. „ჰამბურგის“ განელი თავდამსხმელი, 11-5 წარსულში გამოჩენილი შვედი ჩოგბურთელი, 24-30. უძრავი ქონების დროებით დაჭირავება, 32-27. წარსულში ცნობილი მაროკოელი სტაიერი, 31-25. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი, 29-34. სპორტის სახეობა.
ჯრეზე: 19-10 ფრანგი მორბენალი ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 19-28. რუსი მოცურავე, ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 10-21. გუნდური შეჯიბრება ცხენოსნობაში, 28-21. „იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი, 14-17 ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჭროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კარამბოლი, 6. პუშკაში, 9. აუსტრია, 12. ნავრატილოვა, 13. ივანიშევიჩი, 16. ბრასი, 18. პანკრატიონი, 21. სკალა, 26. დათუნაშვილი, 27. რადუჩოუ, 28. ოცეარკი, 29. ივანოვი, 30. ნიგერია, 31. ალეშანდრია, 32. ეტაპი, 34. ოლიმპიონიკი, 36. ოლისე, 40. ბეკენბაუერი, 47. საყანდელიძე, 48. ამერიკა, 51. კრიკეტი, 53. ესპანოლი. **შვეულად:** 2. არარატი, 3. ბლაგიძე, 4. რაუნდი, 5. ოსტატი, 6. პორტუ, 11. აიალა, 16. ბალაჟაძე, 17. ასპრილია, 18. პადოვანო, 19. ანასტაზი, 20. ინიციალი, 22. ოფციალური, 23. არველაძე, 24. პრუნია, 25. ანიელი, 39. შუდრა, 40. ბასტია, 42. ნანინგა, 43. ადემირი, 45. იბერია, 46. ნურმი. **დიაგონალურად:** 16-7 ბურუჩაგა, 17-8. აველანეი, 9-22. არახამია, 10-23. სალდანია, 14-19. ანჰა, 19-15. აუზი, 32-49. ენდშპილი, 33-50. ამაისკა, 41-35. კილი, 35-44 ილიე, 51-37. კლემენსი, 52-38. იამანიძე.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარღანახი)



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლხ1! – 2. ე:ე7X. 1. ...ჯd6 2. ლ:ა2X.
1. ...d6 2. ლ:ე4X. 1. ...ე:ე7 2. ე7f6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე